# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 170 შაბათი, 1 აგვისტო 1909 წ. № 170



განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. საშგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორამი მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოთ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ აგვისტოდან წლის ბოლომდე—4 მ. 40 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.


ქვრივი დადუ ბესარიონის ასული ნორაკიძისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 2 აგვისტოს, ვერაგულად მოკლულის საყვარელ მეუღლის

## სპირიდონ ნორაკიძის

გარდაცვალების ნახევარი წლის თავზე, დიდუბის ღვთის მშობლის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. პანაშვიდი დაიწყება ნაშუადღევის 1 საათზე. (1—388—1)

გიორგი ივანეს ძე მაჭავარიანი, ანნა (აინე) დათის ასული, პოდპოლკოვნიკი ნესტორ, ვარდენ, ვლადიმერ და ყარამან ნიკოლოზის ძენი ბრდიშვილები უსაზღვრო მწუხარებით აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—დაუვიწყარ მეუღლის, მეორე—ძვირფას ქალიშვილის და დანარჩენნი—დის

## პაშა ნიკოლოზის ასულის მაჭავარიანისას.

დაკრძალვა მოხდება 2 მარიამობისთვეს, შუადღის 12 საათზე, სოფელს ილემში, შორაპნის მაზრაში. (1—387—1)

ექიმ ვ. ლამბაშიძის

## სანატორიუმი

გაიხსნა 15 ივნისს. არის რამდენიმე ადგილი მოზრდილთათვის საერთო ოთახებში.

დაწვრილებითი პირობები წერილით ბორჯომს.

Въ мѣст. Боржомъ. Платформа Гамбашидзе, Санаторіумъ Гамбашидзе. (0—19)

**ექიმი ა. ს. ალადიშვილი** ბორჯომში, ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიულ საფაკულტეტო კლინიკისა, იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ერუსლოვსკის ქ., N 34, აგარაკი ზუბალაშვილისა. (25—321—25)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი** ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (ზუსუნატი, სიფილისი, სამარცხვ. ძილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სტკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—26)

**ექიმი მ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 6. ზუბალაშვილის სახლში. იღებს ხაშმოდებით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი კაკიტელაშვილი** ქუთაისში 1 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თიფურიასეულ საავადმყოფოსთან მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით 9—1 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—31)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 8—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მთიანისა. (უ)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 საათ. ვერა ყოჩაღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 125)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ლ. სუხარევისა** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ავჭალის ქუჩა, სახლი N 14, ემმიდოვისა. (0—586—209

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ახლად გახსნილი

ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ი. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ლამბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეჩერებ მიღება.

ბ. ა. პოპოვი—პირველ სექტემბრამდე შეჩერება მიღება.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. ვეშმართველი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—122)

## იყიდება

იაფად სააგარაკო ადგილები, თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ თელოვანში (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში ზაქარია გიორგის ძეს მალალაშვილს. (50—6.—18)

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ჩვენი სოფელი ყველაზე მეტად უფულობით არის გაჭირვებული. ხუთი და ექვსი მანეთი რომ უნდოდეს გლეხს, ჩარჩთან გარბის და მერე ერთი ათად მეტს აძლევს. ეს ძველი ამბავია, ათასჯერ აღნიშნულა პრესაში, მაგრამ საქმეს მაინც არაფერი შეელებია. საჭიროა ისეთი დაწესებულება, სადაც ხელის გამართვა შეეძლოს გლეხ-კაცს. დღეს ძალიან გაადვილებულია წვრილ კრედიტის საქმის მოწყობა სოფლად და ამას უნდა მიაქციონ ყურადღება სოფლის გულშემატკივრებმა. ამის შესახებ „მოსავალი"-ში ე. ხრამელაშვილის წერილია დაბეჭდილი. ავტორი ამბობს:

ხშირად გაგვიგონია ჩივილი ჩვენი სოფლის ჩამორჩენაზე, გლეხი-კაცის უსახსრობაზე. ამ გვარ ჩივილს აქვს თავისი საფუძველი. მიზეზი ამ უსახსრობის გამომწვევი ბევრია. მე მსურს აქ მოგახსენოთ ერთს იმ მიზეზთაგანზე.

გაჭირვება, უსახსრობა ყველა კაცის სტუმარია. ეს სტუმარი უფრო ხშირად სოფლის გლეხს ეწვევა ხოლმე. თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ 100 მცხოვრებთა შორის 95 გაჭირვებას ითმენს. გაჭირვებული კაცი, რაკი ვარას გასდება თავის მზგავს უმწეო მოკეთესთან, ნება-უნებლიეთ სოფლის ჩარჩ-მევახშეს მიმართავს. ეს უკანასკნელიც აბა რის მევახშეა, რომ მარჯვე შემთხვევით არ ისარგებლოს. ზოლო ჯერ განგებ უარობს, ფულის უქონლობას იმიზეზებს, ვითომ თანაგრძნობასაც უცხადებს, მაგრამ ხელის გამართვაზე არა სთანხმდება. როცა მთხოვნელი საკმარისად თავს შეაბრალებს და თანაც კარგს სარგებელს დაჰპირდება, მევახშეც ეგებ მოლბილდება და მამასისხლად მიასესხებს.

განა ვინ არ დახწრებია ან გაგონით არ გაუგონია, რომ ხშირად, მაგალითად, ნახესხ თუმანში გაჭირვებულ კაცს მევახშესთვის წლის თავზე ორი კოდი პური და ერთი კოკა ღვინო მიუცია თავის გარდა; ეს სარგებელი ფულად რომ ვიანგარიშოთ, თავს აღემატება. განა არ გაგიგონიათ რომ გაჭირვებულ გლეხს ერთი დღის კარგად მემუშავებული ვენახი ორ თუმანში დაუგირავებია და ნახევარ სარგებლის გამო 4—5 წელიწადს ვენახი ხელიდან გამოსვლოდეს. მაგრამ რა საჭიროა ყველ იმ ამბის ჩამოთვლა, რომელიც ჩვეულებრივ მოვლენად გარდაიქცა ჩვენს ქვეყანაში.

როდემდის უნდა ვიცხოვროთ ასე? ნუ თუ გაჭირვებულმა ხალხმა, თავის თავის შველა არ უნდა მოიფიქროს?

დიახაც მოიფიქრებს, მაგრამ საიდან და როგორ. ცალკე კაცი ვერას გახდება. საერთო საქმეში საერთო დახმარებაა საჭირო. ცალ უღელა ხარის პატრონი ერთ ციდა ადგილსაც ვერ მოხნავს, სხვებთან შეერთებული-კი გუთნეულს შეჰყრის და საერთო ყანას გააჩაღებს. სწორეთ ასეთი დახმარებაა საჭირო სესხის ანუ კრედიტის მოპოვებაშიაც. ახლანდელ დროში შეძლებული კაციც კი, ვაჭარია იგი თუ სხვა რამ საქმის პატრონი, უკრედიტოთ საქმეს რიგიანად ვერ აწარმოებს, მას ის დასჩაგრავს, ვისაც თავისი თანხა კრედიტით აქვს მოგებული, რომ წარმოებაა გაამძლიეროს, უფრო იაფად დაისხას უფრო იაფად და ჩქარა გაასაღოს დამზადებული საქონელი.

საქმიან და შეგნებულ კაცს კარგად ესმის, რომ კრედიტი ძალაა, ამიტომ ყველგან დაარსებულია ბანკები, საიდანაც მცირე სარგებლით წევრნი ფულს სესხულობენ, საქმეს აზმარებენ და დანიშნულ დროს ისევ უკან უბრუნებენ. ქალაქის ბანკებში ყოველ დღე მრავალი ხალხი ტრიალებს: რიგს შეაქვს ფული, რიგს გამოაქვს, დაულეველი ზღვა მოგაგონდება, რომელსაც მდინარენი ერთვის და გაედინება.

სესხის, კრედიტის მოპოვება ქალაქზე არა ნაკლებ სოფელს ესაჭიროება, ეს იქიდან სჩანს, რომ ჩარჩ-მევახშეებს უფრო აქ მოუკალათნიათ, აქ გაუმაგრებიათ ზურგი. სოფელი ურჩავთ უმაღლოდ, ზედ გაუვლიათ უგზოდ.

დაჩაგრულ ხალხის მომხრეებს ეს გარემოება მხედველობაში მიუღიათ და ბევრგან სოფლის ბანკები დაუარსებიათ. საზღვარ გარეთი რომ არ ვიანგარიშოთ, რუსეთში 1907 წლის პირველ აპრილამდე იყო დაარსებული 1396 საკრედიტო ამხანაგობა, რომლებშიაც 438 ათასი წევრი ირიცხებოდა. სახელმწიფო ბანკებიდან 4½ მილლიონი მანეთი ქონდათ სესხად გატანილი და თავიანთ შორისაც 8 მილლიონი მანეთი შეგროვებული. თანხის გასამძლიერებლად წმინდა მოგებიდან 1996 ათასი მანეთი გადაუდვიათ და თავიანთ წევრებზე 16 მილლიონი მანეთი სესხად გაუციათ.

ჩვენშიაც გამოჩნდნენ ამ გვარი პირები, აქა-იქ სოფლის კასსები, დეპოები დაარსეს, მაგრამ ამათ თან დაჰყვათ ქართველთა საზოგადო სენი—უთაურობა, უყურადღებობა. ამ მიზეზების გამო ძრიად სახარგებლო საქმე დაიღუპა, კასსა-დეპოები დაიხურა, ხალხმა ფული აიღრუვა, ნდობა დაკარგა, საქმის ხელ-ახლად დაწყება გაცილებით უფრო ძნელია. ხულ რომ არ დაეწყოთ, უფრო ადვილი იქნებოდა ამ მხრივ საქმის მოწესრიგება დღეს, ეხლა კი გულაცრუებული ხალხი უნდობლად შეხედავს ყოველ ამგვარ საქმეს, უგულოდ მოეკიდება.

მაგრამ მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია. საჭიროა მეტი შრომა, მეტი თავგამოდება. ღვთის მადლით, ჩვენში კიდევ მოიპოვებიან პატიოსანი, მტკიცე ხასიათისა და ხალხის გულშემატკივარი პირნი რომელთაც ხალხის ნდობა შერჩენიათ და საქმის გამობრუნება შეუძლიათ. ჩვენც მხოლოდ ამათ მივმართავთ, ადგილობრივი პირობები შეისწავლონ, ნაცნობთა შორის ცოტაოდე წევრი აირჩიონ, 1904 წ. 7 ივნის გამოცემული წვრილ კრედიტის წესდება გაიცნონ (ქართულადაც არის დაბეჭდილი, ტფილისის სახელმწიფო ბანკიდან ყველას უფასოდ ეძლევა) და დაუყოვნებლივ მოჰკიდონ საქმეს ხელი. ნუ შეაშინებთ ის გარემოება, რომ საქმე მეტად ძნელია, სამაგიეროდ ამდენადვე სასარგებლოა. ნურც ის გარემოება შეაშინებთ, რომ წინად არსებულმა კასსა-დეპოებმა თქვენი ჭირი წაიღეს. ამ უკანასკნელ ხუთ წელიწადში ხალხი გამოფხიზლდა, კარგისა და ავის გარჩევის უნარი შეიძინა: თქვენს გულწრფელ წადილს, პატიოსან შრომას დააფასებს.

**ექიმი ვ. მაგაკიანი.** შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭავაძისა. (100—ხაშ.—4)

წმ. ნინოს ქალთა საქველ-მოქმედო საზოგადოების

## საბჭო

აუწყებს ტფ. ქალთა წმ. ნინოს სასწავლებლის მოწაფეთა მშობლებსა და აპეკუნებს, რომ ის მოსწავლენი, რომელთათვისაც 25 აგვისტოსთვის შეტანილი არ იქნება 1908—1909 სამოსწავლო წლის დარჩენილი ფული, სასწავლებლიდან დათხოვნილებად ჩაითვლებიან და მათ ვაკანსიებზე სხვები მიიღებიან. (3—6.—3)

## საქარის

ამერიკულ ვაზის სანერგე

ამით აცხადებს, რომ შეკვეთა სანერგეში ყოველივე დასარგავ მასალისა ფოსტით შეიძლება მხოლოდ პირველ დეკემბრამდე. პირადად შეკვეთა კი შეიძლება 1, 2 და 3 დეკემბერს. ამას გარდა, პირადად შეკვეთა მასალისა პირველ დეკემბრამდე შეიძლება ქალაქ ოზურგეთში. ოზურგეთის საცდელ პლანტაციის გამგესთან—ოზურგეთის, სენაკის და ზუგდიდის მაზრებისათვის, აგრეთვე სოფელ დერჩში (ლეჩხუმის მაზრაში ინსტრუქტორ ქანთან-რაქისა და ლეჩხუმის მაზრებისათვის.

მასალის შეკვეთის დროს უნდა წარდგენილ იქმნეს ბე არა ნაკლებ ორ მანეთისა, წინააღმდეგ შემთხვევაში შეკვეთილი მასალა არ დამზადდება.

ქუთაისის და შორაპნის მაზრის მცხოვრებთ დამყნილი ვაზი, გარდა ციცქასი, არ მიეცემათ.

შემკვეთელთა სურვილისამებრ შეკვეთილი მასალა წასაღებად გაიგზავნება ოზურგეთის პლანტაციაში, ს. დერჩში—ინსტრუქტორ ქანთან ან კიდევ რკინის გზის რომელსამე სადგურზე ამ უკანასკნელ შემთხვევაში შეკვეთილ მასალის მთელი ფასი წინდაწინვე უნდა იქმნეს გადახდილი. (4—6.—4)

მთავრობა ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლისა ამით აცხადებს, რომ ხელმეორე და მისაღები ეგზამენები დაიწყება 21 აგვისტოს. მიღება შეიძლება სასწავლებლის ყველა კლასში, გარდა პირველ და მეექვსე კლასისა, სადაც თავისუფალი ადგილი არ არის.

უკანასკნელ დღედ თხოვნების მიღებისა დანიშნულია 17 აგვისტო. (3—6.—2)

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 ივლისი

### ოსმალეთი

**ვენა.** „კორესპონდენტ ბიუროს" სტამბოლიდან დეპეშით ატყობინებენ: მინისტრთა საბჭომ საბერძნეთის საპასუხო ნოტის განხილვის შემდეგ დაადგინა საბერძნეთიდან აღარ გამოიწვიოს ოსმალეთის ელჩი. ამას გარდა დღეს, 30 ივლისს, ოსმალეთის მთავრობა საბერძნეთისას გაუგზავნის მეორე ნოტას და მოითხოვს სხვა და სხვა განმარტებებს.

**კელნი.** „კელნიშე" სწერს: „აქამდის გერმანია არ მოუწვევიათ, რომ კრიტეს საქმეებში მონაწილეობა მიეღო. ასეთი წინადადებაც რომ მიეღო გერმანიას, იგი როგორც ავსტრო-ჰუნგრეთი,—ერთის მხრივ, მადლობით უარჰყოფდა ამ წინადადებას და მეორეს მხრივ მფარველსახელმწიფოებს ხელს არ შეუშლიდა მუშაობაში და მოიწონებდნენ ყველა იმ ზომებს, რომლებიც მშვიდობიანობას დაიცავდნენ.

**სტამბოლი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა და დიდმა ვიზირმა საერთოდ შეიმუშავეს ნოტა, რომელიც ამ დღეებში საბერძნეთს გაეგზავნება. ნოტაშია ნათქვამი, ოსმალეთის მთავრობა კმაყოფილია, რომ საბერძნეთის მთავრობა მონაწილეობას არ იღებს იმ მოძრაობაში, რომელსაც მიზნად კრიტე ოსმალეთიდან ჩამოშორება და კრიტესთან შეერთება აქვსო. ამის და მიუხედავად ოსმალეთის მთავრობა მაინც დარწმუნებულია, რომ საბერძნეთის კონსულები და აფიცრები ოსმალეთის ტერიტორიაზე პროპაგანდას ეწევიან, რომ კრიტე ოსმალეთს ჩამოაშორონო. ოსმალეთი საბერძნეთის მთავრობას სთხოვს აღგვითქვი, რომ ეს აღარ გამეორდება და ბერძენთა ბრბოები ოსმალეთის ტერიტორიაზე აღარ გადმოლახვენო. ზოგიერთ ადგილებში მცხოვრებლები მართვენ მიტინგებს და კრიტეს ჩამოშორების წინააღმდეგ რეზოლიუციები გამოაქვთ. ასეთი მიტინგი 28 ივლისს გაიმართა ქალაქ ანდრიანოპოლში. კრებამ შეიმუშავა რეზოლიუცია და მფარველ-სახელმწიფოებს გაუგზავნა. რეზოლიუციაში ნათქვამია, თუ კრიტე ოსმალეთს ჩამოშორდა ცუდი ამბები მოხდა და შედეგებისთვის მფარველი-სახელმწიფოები აგებენ პასუხსო. ზოგიერთ ქალაქებში საბერძნეთის საქონელს ბოიკოტი გამოუცხადეს.

### საზღვარ-გარედ.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატამ მიიღო ბიუჯეტის პირველი აი პუნქტი, მათ შორის, გადასახადი ღირებულების მომატებასა და დაუმუშავებულ მიწებზე.

### რუსეთი

**ტროიცკოსავსკი.** ღამე გაქურდეს ეკლესია წაიღეს 40,000 მანეთის ფასიანი ქაღალდები.

**მინსკი.** გუშინდელი დეპეშა ნოკოგსუდკიდან დანამდვილებით არ არის გადმოცემული. ფოსტას არავინ არ დასცემია. შეტაკება მოუვიდათ პოლიციელებს და სამ ბოროტ-გამზრახველს. მოკლულია ერთი, დაჭრილი მეორე, თავი მოიკლა მესამე ბოროტ-გამზრახველმა; სასიკვდილოდ დაჭრილია ჟანდარმი, მსუბუქად მეისრე, არ დაუჭრიათ მაზრის უფროსი და მეეტლე.

**ვარშავა.** 29 ივლისს, საღამოთი, ჩენსტოხოვში ჩამოვიდნენ ჩეხელი სტუმრები. სადგურზე მათ მიესალმა გამოფენის კომიტეტის თავმჯდომარე თავადი ლიუბომირსკი. ლიუბომირსკიმ სიტყვა ჩეხურად წარმოსთქვა. უპასუხა ქალაქ პრაგის პრეზიდენტმა ექიმმა გრომმა. სადგურიდან სტუმრები გამოფენაზე წავიდნენ.

### ხოლერა

**პეტერბურგი.** 30 ივლისს ხოლერით ავად გახდა 32, გარდაიცვალა 10, ავად არის 414.

**იაროსლავლი.** ავად გახდა 2 კაცი.

**რიბინსკი.** ავად გახდა 6, გარდაიცვალა 2 კაცი.

**არხანგელსკი.** ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1 კაცი; მაზრაში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 5 კაცი; ხოლმოგორის მაზრაში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2 კაცი.

**პერმი.** ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1 კაცი.

## საყოველთაო გაფიცვა შვეციაში

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 ივლისი

**სტოკჰოლმი.** ტრამვაი თანდათან მუშაობას იწყობს. ზოგგან ეტლების მოძრაობაც დაიწყო. ბირჟისა და ბანკების მოქმედება არ შეჩერებულა. ბირჟაზე გაფიცვამ ვერავითარი გავლენა ვერ იქონია.

## მოლიკულ გზაზე

(დასასრული *)

2.

როდესაც კაპიტალიზმზე ვლაპარაკობთ, უსათუოდ მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა უნდა გვქონდეს სახეში. ესა და ეს კაპიტალისტი მუშების სისხლსა სწოვს და ამიტომ კაპიტალიზმის შემოსვლას ხელი უნდა შეუშალოთო, ამას ხომ არც ერთი მარქსისტი არ იტყვის? ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ კაპიტალიზმზე, როგორც განსაზღვრულ ეკონომიურ ფაქტორზე, მის საზოგადო მნიშვნელობაზე. თუ ამ მხრით შევხედავთ საკითხს, არ შეიძლება არ ვაღვიაროთ, რომ კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში აუცილებლად საჭიროა. კაპიტალს თან სიმდიდრე მიაქვს. თუ სიმდიდრე არ არსებობს, მაშინ ვერავითარ სოციალიზმის დამყარება ვერ მოხერხდება. თუ ნაციონალური სიმდიდრე არ არსებობს, არც სოციალიზმი განხორციელდება. გაღარიბებულსა და გალატაკებულ ერისთვის არც სოციალიზმი არსებობს და არც ბედნიერება, ეს ისეთი საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ ბაასის გაგრძელება ამაზე სულ მეტად მიმაჩნია.

ბ-ნი რაჟდენიძეც არ უჭყოფს ამას. იგი აღნიშნავს კაპიტალის შემოსვლის შედეგს და მის მომავალ განვითარებაზედაც დიდს იმედებს ამყარებს. ეს ცხადია ყველასთვის, მაგრამ ასევე ცხადი არ არის მეორე დებულება, სახელდობრ, საჭიროა, თუ არა, რომ საქართველოში განვითარდეს საკუთარი, ქართული კაპიტალი? ბ-ნ რაჟდენიძეს წერილებში მოიძებნება ზოგიერთი ისეთი ადგილი, რომელიც ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მას საჭიროთა და სასარგებლოდ მიაჩნია ქართულ კაპიტალიზმის განვითარება, თუმცა ბევრს ადგილს იგი გუნდრუკს უკმევს უცხო კაპიტალს და ისე უყურებს იმის გაბატონებას ჩვენში, როგორც ნორმალურ მოვლენას.

ისეთი მწერლები-კი, რომელნიც ცოტა ღრმად უყურებენ საზოგადოებრივ ცხოვრებას და სოციალურ პირობებს ერის განვითარებისას, ღირსეულ ანალიზს უკეთებენ და ბ. რაჟდენიძესავით სხარტულად არა სწყვეტავენ ესოდენ რთულ საკითხებს.

ერის განვითარებისთვის და ნაციონალურ სიმდიდრის მოსახვეჭად, რაც აუცილებელი პირობაა ყოველ ერის აღორძინებისთვის, მარტო ის არა კმარა, რომ ამა თუ იმ ერში კაპიტალი იყოს გამეფებული. უფრო ძალიანაა საჭირო ისიც, რომ ერში ნაციონალური კაპიტალი დაიბადოს, ვინაიდან ნაციონალურ სიმდიდრეს მხოლოდ ნაციონალური კაპიტალი გვაძლევს. უცხო კაპიტალის პატრონს თავისთვის მიაქვს არა თუ სარგებელი კაპიტალისა, როგორც უნდა ხდებოდეს ნამდვილად, არამედ მთელი შემოსავალიც. ჩვენში მხოლოდ სამუშაო ქირა რჩება. ეს კი, უეჭველია, ხელს უწყობს ხალხის გაღარიბებას.

კარლ კაუცკი, რომელსაც ვერავინ დასწამებს ვერც ნაციონალისტობას და ვერც ბურჟუაზიულ აზროვნებას, ერთ თავის წიგნში პირდაპირ ამბობს, სანამ რუსეთში საკუთარი კაპიტალი, ნაციონალური კაპიტალი არ განვითარ-

*) იხ. „დროება", N 169.

ბა, სიღარიბეს თავს ვერ დააღწევსო [1]) რუსეთში უცხო კაპიტალი ბევრია, მაგრამ მაინც ვერაფერსა შველის რადგან კაპიტალისტებს, სარგებლის გარდა, მთელი შემოსავალი მიაქვთ თავიანთ ქვეყანაში, რუსეთში კი მხოლოდ სამუშაო ქირასა სტოვებენო. ეს გარემოება ხელს კი არ უშლის, ძალიან უწყობს რუსეთის გაღარიბებასაო. კაუცკი თავის-დღეში არ იტყოდა, დაე, სხვა ქვეყნის კაპიტალი შევიდეს რუსეთში, განა რუსის პროლეტარიატისთვის სულ ერთი არ არის, გერმანელი კაპიტალისტი დასჩაგრავს, თუ რუსიო? ასეთ ბავშურ არგუმენტებს კაცი ჩვენში თუ გაიგონებს! ჩვენებური მწერლები ისე იქცევიან, თითქოს მათთვის არსებითად შეუძლებელი იყოს სოციალურ მოვლენათა ღრმა ანალიზი. მათი აზროვნება ყოველთვის წვრილმანებზე ხურდავდება და უბრალო კინკლაობითა სურთ ისეთ დიდ საკითხების გამორკვევა, როგორიც ხსენებული საკითხია.

არსებობს ერთი მოსაზრება, რომელიც შეიძლება წამოაყენონ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა. ეს მოსაზრება მდგომარეობს შემდეგში. როდესაც კაუცკი რუსულ კაპიტალიზმზე ლაპარაკობს, სახეში აქვს რუსეთის სახელმწიფო, რომლის ერთს შემადგენელ ნაწილსაც საქართველოც შეადგენს. ასეთი მოსაზრება აუცილებლად უნდა დაებადოს ყოველ სოციალ-დემოკრატს, რომლის თვალშიაც სახელმწიფო და ეროვნება ერთი და იგივეა. კაუცკი საზოგადოდ ძალიან ხშირად ლაპარაკობს ხოლმე სახელმწიფოზე, როგორც ეროვნებაზე. მაგრამ კაუცკის მხედველობაში აქვს ხოლმე ეხლანდელი ევროპიული სახელმწიფოები, რომელნიც ერთგვარ რასიულ ელემენტებისაგან შესდგებიან. ასევე არ შეიძლება ითქვას რუსეთზე. რუსეთი მრავალ ერისაგან შესდგება. ამასთან ერთად ბევრია ისეთნი ერი, რომელსაც შემუშავებული აქვს თავისი საკუთარი სოციალური ტიპი, საკუთარი წარსული და მომავლის იდეალი. ასეთ ერებისაგან შემდგარი სახელმწიფო ყოვლად შეუძლებელია ნაციონალურ სახელმწიფოდ გამოცხადდეს. ამას ძალიან კარგადა ჰგრძნობდა კაუცკი, როდესაც საჭიროდ ჰხედავდა რუსეთისთვის ფედერატიულ რესპუბლიკის დამყარებას. იგი ამერიკის შეერთებულ შტატების მაგალითზე გვიჩვენებდა და ამტკიცებდა, რომ ეროვნულ პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ შეერთებულ შტატების მსგავს წეს-წყობილების დამყარებით შეიძლებაო. „რუსეთის შეერთებული შტატები",—აი, როგორი უნდა იყოს რუსეთის მომავალი პოლიტიკური წეს-წყობილებაო.

თუ ჩვენ ვაღიარებთ, რომ სოციალური ორგანიზაცია ჩვენი საზოგადოებისა სამუდამოდ დარღვეულია, მაშინ, თქმა არ უნდა, ნაციონალურ კაპიტალზედაც უარი უნდა ვთქვათ და, საზოგადოდ, ნაციონალურ არსებობაზედაც. მაშინ დამდგარა პროცესი ჩვენის გადაგვარებისა და ჩვენც უნდა შეურიგდეთ ამ დიდ სამწუხარო ფაქტს. საჭირო აღარ არის მაშინ არც ეროვნული კულტურა, არც ენის გაუმჯობესება, არც ხელოვნებისა და მწერლობის განვითარება. არ არის საჭირო იმიტომ, რომ ამნაირ გაუმჯობესებას არავითარი რეალური სარგებლობა არ მოჰყვება; გადაგვარების გზაზე მდგომიერი ამნაირის პოლიატივებით ვერ განიკურნება, მისი არსებობა ყოველთვის ძაღლ-უმადური არსებობა იქნება.

ჩვენ კი გვგონია, რომ პოლიტიკურ თავისუფლების დაკარგვა, უქონლობა საკუთარ სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა კიდევ არ მოასწავებს ერის გადაგვარებას და მის სოციალურ ორგანიზაციის დარღვევას. ამიტომ ჩვენ საკუთარ სახელმწიფოებრივ ცხოვრების შექმნა უფრო ადვილი საქმეთ მიგვაჩნია, ვიდრე საზოგადოებრივ ორგანიზაციის დარღვევა. ის გარემოება, რომ ხელოვნურად აფერხებენ ამ სახელმწიფოებრივ ცხოვრების აღდგენას, ჩვენ იმის საბუთად არ მიგვაჩნია, რომ ქართველებს საკუთარი, სრული საზოგადოებრივი ცხოვრება არ შეეძლოთ.

თვითოეული ერი, თუ მას ჯერ არ დაშრეტია მაცოცხლებელი ძალა, აუცილებლად მისწრაფის სრულს, ჰარმონიულ ცხოვრებისაკენ; იგი თხოულობს, რომ მის სულიერ და მატერიალურ ძალთა განვითარებას წინ არავითარი ხელოვნური დაბრკოლება არ ეღობებოდეს. როგორც ავად-მყოფი ადამიანი ისწრაფის თავის ყველა დაავადებულ ორგანოს განსაღებას, ისე ერი მიისწრაფვის ისეთ პირობების დამყარებისკენ, რომელიც მის თავისუფალ განვითარებას უზრუნველჰყოფს.

ის გარემოება, რომ საქართველოს დღეს საკუთარი ფართო საზოგადოებრივი ცხოვრება არა აქვს, ბევრს მიღიპულ გზაზე აყენებს, ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა კმაყოფილდება არსებულ მდგომარეობით და მით დიდს განსაცდელში აგდებს საქართველოს ბედ-იღბალს. ჩვენ წინ ამნაირი დილემაა დაყენებული: ან აღდგენა ჩვენის დაკარგულ საზოგადოებრივ ცხოვრების და ან კიდევ საბოლოო დეზორგანიზაცია მთელის ჩვენის სოციალურ წყობილებისა, ანუ გადაგვარება. ყოვლად შეუძლებელია დღევანდელ პირობებით დავკმაყოფილდეთ და ამასთან გულ-უბრყვილოდ ვიოცნებთ, რომ ეროვნულ საქმეს ვაწარმოებთო.

მართალია, საქართველოს საკუთარი ცხოვრება არა აქვს, მაგრამ მაინც რუსეთის ორგანიულ ნაწილად ვერ ჩავთლით. ამიტომ, როდესაც რუსეთის ნაციონალურ სახელმწიფოზე ლაპარაკობენ, ჩვენ არ შეგვიძლიან ჩვენი თავი, პოლონელებთანა და ფინლიანდელებთან ერთად, მის ეროვნულ ნაწილად ვაღიაროთ. პოლონეთი, ფინლიანდია და საქართველო გარეგნულადაა დაკავშირებული რუსეთთან და ამიტომ კავშირი ამ ნაწილებისა ნაციონალურ სახელმწიფოდ ვერ გამოცხადდება.

თითოეული ამ ერთაგანი საკუთარ ეროვნულ ცხოვრებათა სცხოვრობს; ისინი საკუთრივ ანვითარებენ თავიანთ სულიერ და მატერიალურ ძალებს. და, იმედიცაა, რომ ამ განვითარებას ბოლომდე მიიყვანენ.

თუ ეს ასეა, მაშინ საქართველოსთვის საკუთარ კაპიტალიზმის განვითარება ისევე საჭიროა, როგორც ენისა. ჩვენ არ შეგვიძლიან სოციალურ ორგანიზმის ერთი რომელიმე ნაწილის განვითარება საჭიროდ ვაღიაროთ, მეორესი კი—არა. ჩვენ ან ერი ვართ და მაშინ სრულ ეროვნულ ცხოვრებით უნდა ვიცხოვროთ, ან სრული ეროვნული ცხოვრება არ შეგვძლებია, და მაშინ ერიც აღარა ვყოფილვართ.

**არ. ჯ—შვილი.**

[1]) იხ. К. Каутскій: „Движущія силы революціи въ Россіи".

---

**„დროების" ხვალინდელ სურათებიან დამატების შინაარსი: „ლოთი",—მოთხრობა გუი დე-მოპასანისა, თარგმანი; „უნიჭო ნასწავლი",—ლექსი დაბრიყვებულისა; წვრილი ამბები. სურათები: ახალი მინისტრ-პრეზიდენტი საფრანგეთისა არისტიდ ბრიანი; საფრანგეთის ახალი მინისტრები—რენე ვივიანი და ალექსანდრე მილიერანი, ჰაერში მფრინავ ძანძანის გამომგონი ბლერიო; სპარსელ რევოლიუციონერთა არტილერიის უფროსი (თეირანის აღების დროს) მუსსამირი; ბლერიოს მონოპლანი (ორი სურათი).**

---

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **რევიზია.** „რეჩის" სიტყვით, ამ ცოტა ხანში მართლაც დაინიშნება კავკასიის რევიზია. რევიზორად ასახელებენ გენერალ რიდზევსკის. რევიზია თავდაპირველად შეუდგება იმ ბრბოების მოქმედების და ვითარების გამორკვევას, რომელნიც კაცებს იტაცებდნენ და შემდეგ მოტაცებულის გამოსასყიდლად ფულს თხოულობდნენ. გაზეთის სიტყვით, როგორც ზოგიერთა საქმის გამოძიებას გამოურკვევია, ბრბოებთან ერთად პოლიციელებიც მოქმედებდნენ თურმე. ამას ისიც ამტკიცებსო, ამბობს გაზეთი, რომ შანტაჟისტები ხალხის თვალწინ იტაცებდნენ კაცებს, მაგრამ მათ კვალს მაინც ვეღარ აგნებდნენ. ამას გარდა რევიზია გამოიძიებს ნამესტნიკის კანცელარიის მოხელეების მოქმედებას.

✦ **სინოდის ბრძანება.** „ზემშჩინას" სიტყვით, სინოდის ბრძანებით მისპობენ გამოძიებას იმ ქართველ მღვდლების წინააღმდეგ, რომელთაც ექსარხოსის ნიკონის მკვლელობაში მონაწილეობის მიღებას აბრალებდნენ.

✦ **წ.-კითხვის საზოგადოება.** 30 ივლისს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ მთელი საღამო მოანდომა საზოგადოების ბიბლიოთეკა—მუზეუმის ბინის საკითხს. ლაპარაკი იყო სამუზეუმოდ ჰპყრობილ სახლის (ანდრეევის ქუჩაზე) გადაკეთებაზე გამგეობა ვერავითარ გადაწყვეტილ აზრს ვერ დაადგა. რამდენიმე კაცის რჩევით, გამგეობას აზრადა აქვს დაათვალიეროს ქართულ გიმნაზიის ქვედა სართული, სადაც შესაძლებელია თურმე მოთავსდეს დროებით ბიბლიოთეკა—მუზეუმი.

✦ **უპასპორტოები** 29 ივლისს გაჩხრეკის დროს დააპატიმრეს: პოლიციის მე-4 ნაწილში—6 კაცი, პირველ ნაწილში—14 კაცი და მერვე ნაწილში 28 კაცი. ყველანი უპასპორტოები არიან.

✦ **პოლიციელის მოკვლა.** 29 ივლისს, საღამოს 9 საათზე, კრწანისის ერთ მივარდნილ ადგილში, ქალაქის საზღვარიდან, ასე მეოთხედ ვერსის მანძილზე, ვიღაცები თავს დაესხნენ პოლიციის მე-6 ნაწილის უბნის ზედამხედველს თეოფან ნოდიას, ექვსჯერ ესროლეს რევოლვერები და იქვე მოჰკლეს. მიზეზი მკვლელობისა ჯერ არ არის გამორკვეული. ექვით დააპატიმრეს 9 კაცი. ამ მკვლელობის შემდეგ მთელი ქალაქის პოლიცია ფეხზე დადგა. გაჩხრიკეს ზოგიერთი უბნები მე-5, 6, 7, 8, 10 და 11 საპოლიციო ნაწილებში.

✦ **თავ. ჩერქეზიშვილის დეპეშა.** პარიზიდან 30 ივლისს ტფ. ქალაქის თავის მოადგილემ ალ. ხატისოვმა მიიღო ქალაქის თავის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის დეპეშა. ქალაქის თავი ატყობინებს, რომ ამ დღეებში გამოვა პარიზიდან და 13 აგვისტოს ბათუმში იქნება.

✦ **განთავისუფლება.** გუშინ ვწერდით, რომ დააპატიმრეს ქალაქის თვითმართველობის ხმოსანი ხუდადოვი. მას ფეფელოვის გატაცებაში მონაწილეობის მიღებას აბრალებდნენ. „ბაკუ"-ს სიტყვით ხუდადოვი უკვე განუთავისუფლებიათ.

✦ **შეპყრობილი** ტფ. პოლიციას გაუგია, რომ ჯიბრაილ ბენიამინოვი, რომელსაც ფეფელოვის მკვლელობას აბრალებდნენ სხვებთან ერთად შეიპყრეს სურამის მახლობლად ფოსტის გაცარცვის განზრახვის დროსაო. პოლიციას სურათი ჰქონია ბენიამინოვისა და ამიტომ შესამოწმებლად ერთი მოხელე გაუგზავნიათ სურამში. შეპყრობილი მართლაც ის აღმოჩნდა, ვისაც ეძებდნენ. გამოირკვა, რომ ბენიამინოვი სპარსეთის ქვეშევრდომი ყოფილა, სახელად სიმონ ბენიამინოღლი.

✦ **თავის მოკვლა.** 28 ივლისს მინგრელსკი პოლკის ყაზარმაში თავის ბინაზე რევოლვერით თავი მოიკლა ამ პოლკის პოდპორუჩიკმა ირდიგისმა. მიზეზი არ იციან.

✦ **თათბირი ერობაზე.** ხუთშაბათს, 30 ივლისს, საერობო თათბირის 1-ლ სექციას, თავ. გ. მ. თუმანოვის თავმჯდომარეობით, ბჭობა ჰქონდა: 1 ერობის კომპეტენციაზე და 2. ერობის დამოკიდებულებაზე ადმინისტრაციისაგან. პირველ საკითხის შესახებ უმრავლესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ მიღებულ უნდა იქნას 1890 წლის საერობო დებულებაში აღნუსხული საერობო მოღვაწეობის პროგრამა ზოგიერთის დამატებით 1864 წლის დებულებიდან. სხვა დამატებათა შორის ლაპარაკი იყო სარწყავ წყლების საქმის გადაცემაზე ერობისათვის. ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა გადაიდო და ზოგ ცნობისთვის დაადგინეს, თათბირზე მოიწვიონ წყლების სამმართველოს გამგე ბ-ნი პეტროვი. მეორე საკითხის გამო უმრავლესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ადმინისტრაციისა და ერობის ურთიერთობის განწესრიგება უნდა მოხდეს თანახმად 1864 წლის დებულებისა, ე. ი. ადმინისტრაციის უფლება განისაზღვრება მხოლოდ კანონიერების დაცვით. დასასრულ, ამ საკითხთა შემუშავება დაავალეს მცირე კომისიას, რომელშიაც აირჩიეს: თავ. გ. მ. თუმანოვი, გ. მ. ლასხიშვილი, ვ. ა. დემიდოვი, ი. ი. ზურაბიშვილი და პ. ა. გოთუა.

✦ **ჩამოხრჩობა.** კავ. სამხედრო-საოლქო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა დავითაშვილს. დავითაშვილს და იმასთან ერთად პაპიძეს და ჯამარაშვილს ჰბრალდებოდაო სიღნაღის მაზრის სოფელ ბაკურციხეში თავ. [illegible] მოსამსახურის [illegible]. პაპიძე და ჯამარაშვილი სასამართლომ გაამართლა.

✦ **ბოქაულის თანაშემწის მოკვლა.** როგორც „ზაკავ."-ს ატყობინებენ, სიღნაღში მოუკლავთ ბოქაულის თანაშემწე მხათრიძე.

✦ **გაზეთის შეჩერება.** ბათუმში უსახსრობის გამო შეჩერებულა რუსული ყოველ-დღიური გაზეთი „ბატუმსკაია ნოვოსტი".

✦ **არმავირ-თუაფსეს რკინის გზა.** როგორც ვიცით, არმავირ-თუაფსეს რკინის გზის საზოგადოებამ, რომელსაც ეს გზა გაჰყავს, უკვე იშოვნა ინგლისში საჭირო ფული გზის გასაყვანად. საზოგადოებამ გადასწყვიტა, მუშაობა ამ აგვისტოს შუა რიცხვებში შეუდგეს. გადასწყვიტეს აგრეთვე, მუშები მახლობელ ქალაქებიდან მიიწვიონ და თუ იქ არ აღმოჩნდება საკმაო რიცხვი მუშებისა, შიდა რუსეთიდან დაიბარონ.

✦ **რკინის გზის უფროსის მოადგილე.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის მეორე მოადგილედ დაუნიშნავთ მოძრაობის უფროსი ინჟენერი ბ. ა. ბუტენკო.

✦ **ახალგაზდა პოეტების რჩეული ლექსები ერთ წიგნად.** ა. ბოგდანოვის „პოლიტიკურ ეკონომიის" გამომცემელ ამხანაგობას განზრახვა აქვს მეორე წიგნად გამოსცეს ჩვენი ახალგაზდა პოეტების ლექსები. ლექსებს პოეტების სურათები და ავტობიოგრაფია დაერთობა. ყოველნაირ გაუგებრობის თავიდან ასაცდენად, ამხანაგობას განზრახვა აქვს, ლექსების რედაქცია თვით ავტორებს მიანდოს, ამიტომ მათ დაავალებს გამოუგზავნონ ამხანაგობას ცნობა იმის შესახებ, თუ რომელ ლექსების დაბეჭვდას სცნობენ ისინი საჭიროდ და სად დაბეჭდილა. თითო ავტორისა 15 ლექსი დაიბეჭდება. დაწვრილებით განცხადება და სია იმ ავტორებისა, რომელთა ნაწერები კრებულში შევა, ამ დღეებში გამოცხადდება გაზეთებში. მესამე წიგნად ამხანაგობას განზრახვა აქვს გამოსცეს ჩვენ ახალგაზდა ბელეტრისტების და დრამატურგების ნაწერები. წიგნები გამოიცემა ხელის მოწერით. კრებულში შეიძლება ავტორის სურვილით ახალი, ჯერ დაუბეჭდავი ნაწარმოებიც დაიბეჭდოს. (ჩ.)

---

# ოთხი ცნება

4 *).

### კ ო ს მ ო პ ო ლ ი ტ ი ზ მ ი.

ხშირად არც ინტერნაციონალიზმის ცნებაზეა ბევრი შეთანხმებული. არის ისეთი ადამიანიც, რომელსაც ინტერნაციონალიზმი სულ სხვა გვარად ესმის, ვიდრე მას ეს ცნება უნდა ესმოდეს, და ეს კიდევ უფრო ჰბადებს ცნებათა აღრევას. ინტერნაციონალიზმი ესმით ასეთ თეორეთიკოსებს, როგორც კოსმოპოლიტიზმი.

კოსმოპოლიტიზმი და ინტერნაციონალიზმი კი სრულებით არ არის ერთი და იგივე ცნება.

უპირველეს ყოვლისა კოსმოპოლიტიზმი არ არის სწორი და ნათელი ტერმინი. კოსმოპოლიტიზმი ნიშნავს მთელი მსოფლიოს მოქალაქეობას, მთელ მსოფლიოს მოქალაქეობა-კი აბსურდია, რადგან მოქალაქეობა ნიშნავს სოციალურ კავშირს ერთის საზოგადოების წევრთა შორის, ჩვენ კი გარეშე დედა-მიწისა, რომელიც ერთი უმნიშვნელო მტვერია მთელს დაუსრულებელ და უზომო მსოფლიოში, არავითარი სოციალური კავშირი არა გვაქვს სხვა პლანეტათა და სისტემათა სოციალურ არსებთან, არავითარი ცოდნა, არავითარი წარმოდგენაც არა გვაქვს მათ სოციალურ - თუ არა სოციალურ, უბრალო არსებობაზედაც კი. თვით მათი არსებობაც პრობლემატიურია.

მაშასადამე, როდესაც კოსმოპოლიტიზმზე ლაპარაკობენ, ჩვენი დედამიწის კაცობრიობა, საზოგადოებრივობის ნიჭის მქონე კაცობრიობა აქვთ სახეში და კოსმოპოლიტიზმიც საკაცობრიო მოქალაქეობას ნიშნავს.

ამ შემთხვევაში-კი სჯობია ტერმინი **გეოპოლიტიზმი** ვიხმაროთ, თუ ეს ტერმინი ყურს არ ეხამუშება.

მაგრამ საქმე მარტო ტერმინში არ არის, რასაკვირველია. საქმე თვით ცნების შინაარსშია. უპირველეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ინტერნაციონალიზმი არსებობს რამდენიმედ,—ამას ამტკიცებს მრავალი ხელშეკრულება, არსებული სხვა და სხვა ერთა და სახელმწიფოთა შორის, განსაკუთრებით საერთაშორისო, ანუ სახელმწიფოთა შორისო სამართალი. გეოპოლიტიზმის კი ნასახიც არ არის თანამედროვე საზოგადოებაში. ეს თვალსაჩინოა, რადგანაც კონკრეტულ საზოგადოებებს დღეს სახელმწიფოთა სახე აქვთ, ანუ უკეთ რომა ვთქვათ, ბუნებრივ კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმებს დღეს ერის სახე აქვთ. ერთა განთავისუფლება, მათ შორის თავისუფალი კავშირი არის ინტერნაციონალიზმი, რომელიც უნდა მოაწესრიგოს იდეალურმა, მომავალმა საერთაშორისო უფლებამ.

მრავალ-ფეროვანება და სხვა და სხვაობა ერთა, სახელმწიფოთა და სხვა უმდაბლეს სოციალურ ორგანიზმთა იწვევს საერთაშორისო სამართლის არსებობას, ინტერნაციონალიზმს,—როგორც თანამედროვესა, ე. ი. სახელმწიფოთა-შორისო სამართალს, ისე მომავალს, იდეალურ, ნამდვილ საერთაშორისო სამართალს. ეს კარგად დავიხსომოთ.

**ერთი საკაცობრიო საზოგადოება კი არ არსებობს.** კაცობრიობა სოციალურად—ფიქციაა. დღეს დედა-მიწის ზურგზედ მცხოვრებ მილიარდ-ნახევარ ადამიანთა შორის ვერა ვხედავთ ერთ ენას, ერთს ეკონომიკას, ერთს სამართალს, ერთს ზნეობას, ერთს რწმენას, ერთს მეცნიერებასა ერთისა და იმავე სოციალურ მოწესრიგების სფერაში, საერთო პოლიტიკურ ორგანოებსა და სხვათა. ვერა ვხედავთ იმ ელემენტებს, რომელიც შეადგენს ერთს კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმს. არ არსებობს ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზმი, რომლის მცხოვრებთა რიცხვი მილიარდ-ნახევარ ადამიანისაგან შესდგებოდეს, არამედ კაცობრიობა დაყოფილია სხვა და სხვა საზოგადოებად, რომელთაგან ზოგი განვითარების მაღალ საფეხურზე სდგას, ზოგი დაბალზე, ზოგი მუდმივ ბრძოლაშია ურთიერთ შორის, ზოგი ურთი-ერთს ოდნავ მაინც უერთდება საერთაშორისო კავშირით.

თანამედროვე განვითარებულ საზოგადოებაში კი ამ კავშირის მისწრაფებაც, როგორც უკვე ვთქვით, ერთა განთავისუფლებაა და ურთიერთ შორის თავისუფალი კავშირი. მაშასადამე, გეოპოლიტიზმი (კოსმოპოლიტიზმი), როგორც ცნება, გამომხატველი საკაცობრიო საზოგადოების არსებობისა, არა თუ არ შეესაბამება სინამდვილეს, არამედ პირდაპირ წინააღმდეგია ინტერნაციონალიზმისა. გეოპოლიტიზმი საკაცობრიო სოციალური ერთფეროვნებაა, ინტერნაციონალიზმი კი მრავალ-ფეროვანება და კავშირი ამ მრავალფეროვანებათა. გეოპოლიტიზმი გულისხმობს ერთადერთს სოციალურ ორგანიზმს დედა-მიწის ზურგზე, ინტერნაციონალიზმი მრავალსა. გეოპოლიტიზმი უარ-მყოფელია კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმთა, ერთა ინდივიდუალობისა, ინტერნაციონალიზმი მისი განმამტკიცებელია. გეოპოლიტიზმი აქარწყლებს ერს, ინტერნაციონალიზმი აღიარებს, როგორც აუცილებელ ელემენტს თავის არსებობისას, ვინაიდან არ არის **საერთაშორისო**, თუ არ არის ერი. გეოპოლიტიზმი უარ-მყოფელია საერთაშორისო სამართლისა, ვინაიდან თვით ცნებანი **საერთაშორისო** და გეოპოლიტიზმი ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს და ჰრიცხვენ ურთი-ერთს: ერთი შეეხება კავშირს თავისუფალ სოციალურ ინდივიდთა შორის, მეორე ერთად ერთ სოციალურ ინდივიდს, რომელიც უარ-ყოფაა სოციალურ ინდივიდთა სიმრავლისა და სხვა და სხვაობისა.

დიახ, გეოპოლიტიზმი, ანუ კოსმოპოლიტიზმი და ინტერნაციონალიზმი ურთ-ერთის უარ-ყოფაა, ლოღიკური წინააღმდეგობა. ვინც გეოპოლიტია, ის ინტერნაციონალისტი ვერ იქნება, და, საკვირველია, რად აურიეს ერთმანეთში ეს ორი ცნება, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვთ რა, გარდა პირდაპირ წინააღმდეგობისა.

საფრანგეთის დიდ რევოლიუციის დროს, როდესაც აზრი სდუღდა და გადმოდიოდა, როდესაც ყველა ღირებულების ხელ-ახალი შეფასება მოინდომეს, სხვათა შორის, ასეთი კოსმოპოლიტიზმიც იყო წამოყენებული ჰანრი გრეგუარისაგან და გაზიარებული ეროვნულ კრების მიერ. მაგრამ მალე დაინახეს, რომ იგი პირდაპირი უარყოფა იყო სწორედ იმ საერთაშორისო უფლებისა, რომლის თავგანწირულ დამცველადაც ავტორი გამოდიოდა, და მალე უკუაგდეს ასეთი უკიდურესობამდე მიყვანილი აზრი.

საკაცობრიო მონარქია, ან საკაცობრიო რესპუბლიკა სპობდა თვით ცნებას სახელმწიფოთა-შორისო სამართლისას. აგრეთვე მომავალშიაც ერთად-ერთი კონკრეტული სოციალური ორგანიზმის ცნება სპობს ცნებას ერთა შორის კავშირისას, ინტერნაციონალიზმს, ვინაიდან, განვიმეორებთ, თანამედროვე სახელმწიფოთა-შორისო სამართალი გულისხმობს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა არსებობას და მათ შორის განწყობილებას, მომავალი საერთაშორისო სამართალი კი ერთა არსებობასა და მათ შორის განწყობილებას. თანამედროვე სახელმწიფოთა საზოგადოება შემქმნილია სახელმწიფოთა-შორისო სამართლისა, მომავალი ერთა საზოგადოება (ბუნებრივ სოციალურ ორგანიზმთა) შემქმნელი უნდა იყოს მომავალ საერთაშორისო სამართლისა. განწყობილება, სამართალი, მრავალ ერთეულს შორის არის შესაძლებელი, ერთს კი თავის თავთან გარეგნულად მოწესრიგებული განწყობილება არ შეუძლია. ამიტომაც გეოპოლიტიზმი უარ-მყოფელია ყოველ მრავალ სოციალურ ერთეულთა შორის განწყობილებისა: ერთ საკაცობრიო საზოგადოებაში მრავალი სოციალური განწყობილებაა შესაძლებელი, თვინიერ საერთაშორისო განწყობილებისა. ეს შეგვიძლია რომ ვსთქვათ რაც შეეხება თვით ცნება კოსმოპოლიტიზმსა და საერთო-საკაცობრიო საზოგადოების არსებობასა.

ვნახოთ ეხლა, ბუნებრივ მისწრაფების თვალთახედვითაც თუ არის იგი შესაწყნარებელი.

ბევრს სწორედ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ჰგონია მომასწავებელი მომავალ საკაცობრიო საზოგადოებისა. მაგრამ ეს ძლიერ და ძლიერ შემცდარი აზრია. უპირველეს ყოვლისა, როგორც ვთქვით, საერთაშორისო სამართალი პირდაპირ წინააღმდეგი ცნებაა გეოპოლიტიზმისა, რადგანაც იგი ერთ საზოგადოებას კი არ მოასწავებს, არამედ მრავალსა და მათს კავშირს. აგრეთვე მომავალი ინტერნაციონალიზმია კავშირი მომავალ თავისუფალ ერთა შორის. შემდეგ,—სამართალი ვერა ჰქმნის მთელს საზოგადოებას, იგი მხოლოდ ერთი სოციალური მოვლენაა. სამართლის ერთობა ყველა საზოგადოებათათვის ვერა სპობს საზოგადოებათა ინდივიდუალობასა, სხვა და სხვაობას;—მეტადრე საერთაშორისო სამართა-

*) იხ. „დროება", N 169.

**ამომრჩეველთა და მცხოვრებთა საზოგადოებანი.** უკვე ვქონდა აღნიშნული, რომ ტფ. ინტელიგენციის ერთმა წრემ გადასწყვიტა ქალაქის ხმოსანთა თითო საარჩევნო ნაწილში დაარსოს მცხოვრებთა და ამომრჩეველთა საზოგადოებანი. პირველ საარჩევნო ნაწილის საზოგადოების დამფუძნებელთ ქალაქის მდივანს მ. ჯაბარს, ინჟ. ზურაბიანცს, გენ. ყორღანოვს, ინჟ. ლისიციანს, ვ. მ. თუმანოვს და ნ. დ. ხატისოვს—უკვე ჰქონდათ თათბირი. პროექტი წესდებისა უკვე წარუდგინა გუბერნატორს დასამტკიცებლად. პირველ საარჩევნო ნაწილში შედიან 1, 2, 3 და 4 საპოლიციო ნაწილები. ვისაც სურს წევრად ჩაწერა, ვანცხადება საზოგადოების კომიტეტის სახელზე უნდა წარუდგინოს ქალაქის მდივანს ჯაბარს. განცხადების შეტანის დღიდან იგი წევრად ჩაირიცხება. საწევრო გადასახადი წელიწადში იქნება 1 მ. მიზანი საზოგადოებისა უმთავრესად არის ამომრჩეველთა ერთმანეთში დაახლოვება-გაცნობა და შეგნებულად არჩევნების მოხდენა.

**პოლიციის ახალი სადგომი.** ტფ. ქალაქის გამგეობამ საბოლოოდ გადასწყვიტა, პოლიციის სამართველოს დაუთმოს აირუმოვისეული სახლი, რომელიც ქალაქმა 100,000 მანეთად შეიძინა. განსაკუთრებულმა კომისიამ ტეხნიკოსების მონაწილეობით დაათვალიერა ეს სახლი და ტფ. პოლიცმეისტერთან ერთად გამოარკვია, როგორ უნდა განაწილდეს. შუა სართულში მოთავსდება პოლიცმეისტრის სამართველო, „სისკნი" განყოფილება, საპატიმრო და პოლიციის მე-4 ნაწილის ბოქაულის სამმართველო. ზემო სართულსა და ძირის სართულს გააქირავებენ. ძირს—მაღაზია დუქნებისა, ხოლო მაღლა—საცხოვრებელ ბინებისათვის.

**ურჩი მეეტლე.** 29 ივლისს, ნაშუაღამევის 1 საათზე, უბნის ზედამხედველს უგულავას მიხეილის პროსპექტზე შეუნიშნავს მთვრალი მეეტლე და პოლიციელებისთვის უბრძანებია მთვრალი პოლიციაში წაეყვანათ. ეს რომ მეეტლეს გაუგია, დაუშენია მათრახი ცხენებისთვის და გაქანებულა. მეეტლეს გამოსდევნებიან, მაგრამ ვერ დასწევნიან. ხმაურობა გაუგონიათ მე-9 საპოლიციო ნაწილის სამართველოში. გამოვარდნილან პოლიციელნი და გადაჰღობებიან მეეტლეს. იგი მაინც არ გაჩერებულა. პოლიციელებს სამჯერ უსროლიათ, მაგრამ აუცდენიათ. მეეტლე მიმალულა. მეორე დღეს მეეტლე იპოვეს და პასუხის გებაში მისცეს.

**ქურდობა აფიცერთა საზოგადოებაში.** როგორც ვწერდით, ამ დღეებში კიროჩნი ქუჩაზე დაპატიმრეს ვიღაც შმიტი, რომელსაც აღმოაჩნდა აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებიდან მოპარული თამბაქო. გამოძიებით გამოირკვა, რომ აფიცერთა საზოგადოების მაღაზიიდან სალდათებს სისტემატიურად უპარავთ საქონელი. ამ საქონელს შმიტს აძლევდნენ თურმე, ხოლო ამ უკანასკნელს თავის „ხაზეინის" მათე შიკის მაღაზიაში მიჰქონდა ხოლმე. პოლიციამ გაჩხრიკა შიკის მაღაზია კიროჩნი ქუჩაზე და გამოაჩინა 226 მოპარული ყუთი სარდინკისა, თამბაქო, ჩაი და სხვა, სულ 500 მანეთის საქონელი. გაჩხრიკეს აგრეთვე მაღაზია ისონ კობერიძისა და იქაც აღმოჩნდა 150 მანეთის საქონელი. გამოძიება სწარმოებს.

ქუთაისიდან გვწერენ: იბეჭდება და ამ დღეებში დაურიგდება აგენტებს „კოლხიდა"-ს მეოთხე წიგნი: „სახმოწესით" კითხვის სწავლება (ს...ს დაკვირვებიდან) ანდრია შუბლაძისა, სახელმძღვანელო მაძრავ ასოებით.

კუკიის სასაფლაოს მახლობლად ასიკო პოპუნიას ადგილში მომუშავეს გორის მაზრის მცხოვრებს ილარიონ ფსიტიძეს მიწის თხრის დროს მიწა დაეყარა თავზე და იგი სასიკვდილოდ დაშავდა. გარდაცვალებულის გვამი საავადმყოფოში გაგზავნეს.

სურფ-სარქისის აღმართზე იაკობ კერესელიძეს სათონეში 30 ივლისს უეცრად გარდაიცვალა რაჭის მაზრის მცხოვრები დიმიტრი ბუხრაშვილი.

29 ივლისს მნაცაკანოვის ხიდის მახლობლად მტკვრიდან ტფ. მოქალაქემ ავაქ აივაზოვმა გამოიტანა გვამი დამხრჩვალ გორის მოქალაქის თედორე ალექსანდროვისა. გვამი მიხეილის საავადმყოფოს საანატომიო განყოფილებაში გაჰგზავნეს.

მე-2 საპოლიციო ნაწილის მოხელეებმა 28 ივლისს დააპატიმრეს ვლადიმერ ანტონოვი. რკინის გზის მთავარ სახელოსნოებ ს ხელოსანი, რომელმაც მუქარის წერილით ფული მოსთხოვა აფანასიევის ქუჩაზე მცხოვრებს მ. ნ. პოლიციამ დააპატიმრა აგრეთვე ანტონოვის ამხანაგები გლოტოვი და გოგინაშვილი.

# მოწერილი ამბავი

**ქსნის ხეობა.** სანთლით რომ ეძებოთ, ჩვენს ხეობაზე ერთ კულტურულ დაწესებულებას ვერ იპოვნით. გაზეთის შოვნაც-კი არ შეიძლება, და თუ ვინმემ მოისურვა გაზეთის წაკითხვა, უნდა დახარჯოს ხუთი მანეთი, რომ ან გორში ან ქალაქში ჩავიდეს და იყიდოს ნომერი. მართალია, დუშეთზე შეიძლება გაზეთის გამოწერვა, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, პირველი რიცხვის ნომერი მოგვივა თვის ბოლოს ან სულ არ მოგვივა და სადმე ჩაიკარგება, მიზეზიც-კი ის არის, რომ გზა არა გვაქვს და არც არავითარი ეტლით მოძრაობა სწარმოებს.

ქსნის ხეობის ცენტრი სოფ. ახალგორია. უმეტესი ნაწილი ამ სოფლის მცხოვრებთა ვაჭარია და შეძლებაც აქვთ. მთელი ამ ხეობის გლეხობა ამათ ჰყავთ ჩაბღუჯული ხელში. ჩვენი ხეობიდან წელიწადში მარტო მატყლი 10,000 ფუთამდე გადის. გარდა კიდევ ერბო, ყველი, ღვინო და სხვა. ყველა ეს გლეხის ხელიდან გამოდის, მაგრამ გლეხს არაფერი უჩირავს ხელში. რადგან გზა არ არის ყველა ეს ახალ გორელ ვაჭრების ჯიბეში ჩადის. ჩვენი ხეობის გლეხნი ძალიან უვიცნი არიან და მათი მოტყუება სულ ადვილი საქმეა. ათასში ერთი არ გამოვა, რომ წერა-კითხვა იცოდეს.

ბუნებით ჩვენი ხეობა მდიდარია. არის აქ ნავთი, მარმარილო, სამკურნალო წყლები და სხვა, მაგრამ ყველა ამას მცოდნე კაცი და ფული უნდა. შეიძლება ასეთი კაცი იმიტომ არ მოდის, რომ გზა არ არის.

სინათლისა და სწავლის გავრცელების ნაცვლად, ამ ბოლო დროს უფრო გამხირდა ქურდობა, კაცის-კვლა, მეზობლის დარბევა, საბძლების და წისქვილების წვა და ყველა შესაზარავი საქმე. ისე დღე არ გაივლის, რომ არ გაიგოთ—ამა და ამ სოფელში მოჰკლეს ან დასჭრესო.

**გლეხი ვანო.**

**ბელაგორი.** 26 ივლისს ცხინვალიდან მოწვეულ ქართულ სცენის მოყვარეთა და მსახიობთ ქ-ნ შუანტეს (ფსევდონიმია) და ბ-ნ ზარდალიშვილის მონაწილეობით აქ, ადგილობრივ ქალთა სამინისტრო სკოლის სასარგებლოდ, უნდა წარმოდგენილიყო, როგორც აფიშებში იყო გამოცხადებული, დრამა „უპატიოსნონი არ იბადებიან" და ვოდევილი „ცოლქრმობის წინააღმდეგ". ყველა დარწმუნებული იყო, რომ წარმოდგენილი იქნებოდა ის, რაც გამოცხადებული იყო, მაგრამ, ვიდრე წარმოდგენა დაიწყებოდა, ერთმა სცენის მოყვარემ ამცნო დამსწრე პირებს, რომ გამოცხადებულ პიესისა და ვოდევილის მაგივრად წარმოდგენილი იქნება კომედია „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე" და ვოდევილი „უბედური დებიუტი"-ო. ეს გარემოება ბევრს საწყენად დარჩა. მით უმეტეს, რომ ხალხს არ გააგებინეს, თუ რა მიზეზისა გამო შესცვალეს გამოცხადებული დრამა—ვოდევილი.

წარმოდგენა დაიწყო ღამის ათის ნახევარზე, კოწია შარაშიძის როლი სუსტად შეასრულა ბ-ნმა ზარდალაშვილმა, სამაგიეროდ ოთარ შარაშიძის როლი მშვენიერად ჩაატარა ბ-ნმა ფ. ა—მ. მხოლოდ ცოტა იმერული კილოთი დაპარაკობდა. ნატოს როლი სრულებით არ შეეფერებოდა ქ-ნ შუანტენის ამპლუას, ამიტომ მსახიობი სუსტი იყო. არა უშავდარა ქ-ნ არაბიძეს, ბ-ნმა ა. არაბიძეს. დანარჩენნი ხელის შემშლელი იყვნენ ანსამბლისა კარგად ჩაიარა ვოდევილმა. მშვენიერი იყო. ბ-ნი ზარდალაშვილი. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ცეკვა.

წარმოდგენას ცოტა ხალხი დაესწრო. უმთავრესი მიზეზი აფიშების გვიან დარიგება იყო. კვირას დილით გაკრეს აფიშები და ბევრმა ვერც კი გაიგო, იქნება თუ არა ამ დღეს წარმოდგენა. ვერ გავიგეთ სკოლის სასარგებლოდ დარჩა რამე თუ არა.

2 მარიამობისთვეს აქაური სცენის მოყვარენი სდგამენ ერისთავის პიესას „სამშობლო"-ს.

აქეთ კვლავ საშინელი გვალვები დაიჭირა. ნათესობა მეტისმეტად დაზარალდა. სიმინდი დაზიანდა, რომ კარგი წვიმებიც ვეღარ გამოაკეთებს.

ყველა სიკეთესთან აქ თავი იჩინა ზოგიერთ დემოკრატების კუდა-მელაობამაც. ეს ვაჟბატონები შემძვრალან სორობებში და იქიდან იბინებიან, რომ როგორმე ჩირქი მოსცხონ უდანაშაულო პირებს. ჯერ არაფერს ვიტყვით ამათზე, რადგან ასეთი კაცუნებისათვის გაზეთის ფურცლის მოცდენა არა ღირს; მხოლოდ თუ კვლავ განაგრძნობენ თავიანთ „საგმირო" საქმეებს, მაშინ კი იძულებული ვიქნებით ფარდა ავხადოთ მათ სამარცხვინო საქციელს. ამ ჟამად კი ურიგო არ იქნება ერთი პატარა შემთხვევა აღვნიშნოთ.

26 ივნისს, როდესაც ტფილისიდან მოვიდა საფოსტო მატარებელი, გაზეთები მიიღეს ხელის მომწერლებმა და იქვე ბუფეტში შემოუსხდნენ მაგიდას და კითხულობდნენ. ამ დროს შემოვიდა ერთი სტატსკურად ჩაცმული ყმაწვილი კაცი, რომელიც, როგორც გავიგეთ, მახარადგელი ვაჭარი ა. ჟ—ძე ყოფილა, და დაიძახა, გაზეთი „ჩანგი", რომელ თქვენგანს აქვსო. პასუხად მიიღო, რომ აქ „დროება" გვაქვს და თუ გნებავთ, მიირთვითო. ასეთმა პასუხმა ყმაწვილი დიდად გააჯავრა და წყრომის კილოთი დაიძახა, რომ ნუ თუ მთელ ბელაგორში ერთი შემარცხენე გაზეთი არ მოიპოვებაო. ამაზე საკადრისი პასუხი მიიღო, მხოლოდ სავალალოა იმისთანა კაცის მდგომარეობა, რომელსაც საქმისა არაფერი გაეგება და თავისი თავი კი დიდი ვინმე ჰგონია.

**რიხვა.**

# სპარსეთი

**მეჯლისის არჩევანი.**

მეჯლისის დეპუტატების არჩევანი რიგზე მიდის. კანდიდატებად ასახელებენ გამოჩენილს განათლებულ საზოგადო მოღვაწეებს.

თეირანში უკვე გაათავეს დეპუტატების არჩევა. სხვათა შორის არჩეულნი არიან პირველ მეჯლისის თავმჯდომარედ ნამყოფი სანიდ-დოულე, პეტერბურგში ელჩად ნამყოფი მუშარ-დოულე და ბევრი სხვა ცნობილი მოღვაწე. საყურადღებოა, რომ თეირანში არც ერთი სამღვდელო არ აირჩიეს დეპუტატად.

**ზილი-სალთანე.**

რეშტის კომიტეტმა არდებილში დაატუსაღა ზილი-სალთანე და ახმედ-აბადში გაგზავნას უპირებდა. ახმედ-აბადი მიყრუებული, უგზოუკვლო, ხაშმიანი ადგილია.

ზილი-სალთანემ სთხოვა თავის მეგობარს, ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრს მანსურს, იშუამდგომლეთ, რომ ნება მომეცენ თეირანსა და ჩემს ისპაჰანის მამულში ვიცხოვროო. პრინცმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა მანსურს:

„თანახმა ვარ ტუსაღად ვიყო თეირანში, ოღონდ სამშობლოში კი ვცხოვრობდე. ჩემისთანა მოხუცისთვის ძნელია ევროპაში ცხოვრება, მაგრამ მაინც ისევ იქ ცხოვრება სჯობია ახმედ-აბადში ცხოვრებას".

მთავრობამ არ შეიწყნარა პრინცის თხოვნა და კაცი გაგზავნა რეშტში, რომ ზილი-სალთანე ან ახმედ-აბადში დაასახლონ, ან არა და ისევ საზღვარ-გარედ განდევნონ.

**რუსის ჯარმა [illegible]**

რუსის ჯარი [illegible] ვალა, [illegible] მოუახლოვდა თეირანს.

რეშტისა, ყაზვინისა და ენზელის ენჯუმენებმა პროტესტი გამოაცხადეს ამის გამო. რუსის ჯარის უფროსმა გამოუცხადა სპარსეთის მთავრობას, ბინა იმისთვის ვიცვალეთ, რომ წინანდელ ბანაკში სახადი გაჩნდაო. სპარსეთის პოლიტიკოსთა წრეები არ დაკმაყოფილდნენ ასეთის განმარტებით—

—განა არ შეიძლებოდა ახალ ბანაკისთვის ყაზვინს იქით აერჩიათ ადგილი, რადა თეირანს დაუახლოვეს რუსის ჯარიო!—ამბობენ სპარსელი პოლიტიკოსები.

**სპარსელები სტამბოლში.**

სტამბოლში ცხოვრობს 10 ათასამდე სპარსელი. როგორც ყველგან სხვაგან, სპარსელები აქაც ცდილობენ შეერთებას და მკვიდრ ეროვნულ ორგანიზაციის შექმნას. სტამბოლში სპარსელებს აქვთ საკუთარი გიმნაზია, ორი გაზეთი—„სიროს"-ი და „საადათ"-ი და ერთი საკუთარი საავადმყოფო. ამას გარდა მათ სტამბოლში შარშანვე დაარსეს რევოლიუციონური საზოგადოება „საადათი" სპარსეთის რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად. თანდათან ამ საზოგადოებამ დიდი გავლენა მოიპოვა სპარსეთის ყველა რევოლიუციონურ კომიტეტზე, ბოლოს დროს იგი ცენტრალურ კომიტეტის როლს თამაშობდა და სპარსეთის რევოლიუციონურ მოძრაობას ხელმძღვანელობას უწევდა. „საადათი" დიდ დახმარებას უწევდა გმირ სათარხანს: უგზავნიდა მეომრებს, ფულსა და რჩევას. ამას გარდა, რადგან სპარსეთში გაწყვეტილი იყო ყველგან ტელეგრაფის მავთული, „საადათი" ინდოეთ-ევროპის ტელეგრაფის შემწეობით შუამავლობას ეწეოდა თავრიზსა, რეშტსა, თეირანსა, ნეჯეფსა და ისპაჰანს შორის, ყოველნაირ ცნობას დროზე აწვდიდა მათ და ამით აერთებდა და აკავშირებდა ერთმანეთთან სხვა და სხვა რევოლიუციონურ „ცენტრებს. დასასრულ, როდესაც სეპეხდარი და სარდალ-ასადი ყოყმანობდნენ და თეირანზე გალაშქრებას ვერა ჰბედავდნენ „საადათმა" გადაჰკრით უბძანა მათ, დაუყოვნებლივ აიღეთ თეირანიო. ერთის სიტყვით, ამ საზოგადოებამ დაუფასებელი სამსახური

---

ლი, რომელიც არ არის მთელი სამართალი, არამედ მისი ერთი სპეციალური ნაწილი, მომწესრიგებელი საზოგადოებათა არა შინაგან, არამედ საურთიერთო განწყობილებათა. ერის საზოგადოებრივ ორგანიზმს ჰქმნის არა მარტო სამართალი, და მეტადრე მისი ერთი ნაწილი საერთაშორისო სამართალი, არამედ ზემოხსენებული შვიდი საერთო სოციალური მოვლენა.

არ უნდა დაგვავიწყდეს არასოდეს, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი არ არის ნამდვილი საერთაშორისო სამართალი, არამედ სახელმწიფოთა-შორისო, დღევანდელი მოძრაობაც ერთის მხრით სწორედ ერთა განთავისუფლებით დახასიათდება სახელმწიფოთა კლანჭებისაგან. სახელმწიფოთა დაშლა და ერებად დაყოფა,—აუცილებელი მოვლენაა, და აკი ვამჩნევთ ისტორიაში, რომ დიდ იმპერიათაგან გამოყოფილ ერთა სახელმწიფოებს საერთაშორისო სამართალი იღებს თავის სფერაში და მფარველობას უწევს მას დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ! დავანებოთ თავი დიდ სახელმწიფოთა ვერაგობასა და პატარა ერთადმი და სახელმწიფოთადმი მტრობას. ეს, რასაკვირველია, უეჭველი ფაქტია. მაგრამ ისიც აუცილებელი მოვლენაა, რომ პატარა ერები ძალას იძენენ, იტკიცებენ თავიანთ ინდივიდუალობას, ინთავისუფლებენ თავსა და შედიან საზოგადოებათა საზოგადოებაში. მეორე ტენდენცია სძლევს პირველს: ეს მოვლენა თვალ-საჩინოა და ისტორიაში შემჩნეული ყოველ-ფეხის გადადგმაზე, განსაკუთრებით უკანასკნელ საუკუნეებში. კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმეას, როგორც უბრალო ცოცხალ არსთ, სიცოცხლის წყურვილი აქვთ, იზრდებიან, იკურნებიან, ძლიერდებიან და ხდებიან დამოუკიდებელ სოციალურ ინდივიდებად.

მაშასადამე, თვით საერთაშორისო სამართლის განვითარება, ახალ წევრთა მიღებით თავის სფერაში, წინააღმდეგი პროცესსია კოსმოპოლიტიზმისა.

მაგრამ მიაქციეთ ყურადღება შემდეგ ფრიად ღირს-შესანიშნავსა და მასთანვე უბრალო მოვლენას. თვითის საზოგადოებანი, რომელნიც შეადგენენ კაცობრიობის ნაწილს, ერთისა და იმავე განვითარებისა და სოციალურ სიმჭიდროვისანი არ არიან. არსებულ სოციალურ ორგანიზმთა კლასსიფიკაციას შეიძლება პირველ-ყოფილ მარტივ ორგანიზმებიდან რთულ თანამედროვე ერებამდე. განუვითარებელ და მარტივ საზოგადოებათა რიცხვი აუარებელია. კაცობრიობა კი მარტო განვითარებულ ევროპისაგან, ამერიკისაგან და აზიის ორ სახელმწიფოსაგან არ შესდგება, როგორც ეს თვით ოგიუსტ კონტს კიდევ უფრო ვიწროდ ესმოდა. არსებობს აუარებელი, უზარმაზარი, უთვალავი ფონდი კაცობრიობისა,—ეს დაუშრეტელი წყარო სოციალურ შემოქმედებისა, ეს ჯერედ ხელ-უხლებელი სოციალური მასალა. რომელიც ჯერ კიდევ არ გამოსულა მსოფლიო ასპარეზზე, არ შეუქმნია თანამედროვე ერის მსგავსი საკუთარი სოციალური ორგანიზმები. მათი რიცხვი უთვალავია. ვინ იცის, როდის გახდებიან ისინი ნამდვილ ერებად, ვინ იცის, როგორ შესცვლიან თანამედროვე ერთა ცხოვრებას, ვინ იცის, როგორი და რამდენი სრულიად ახალი ერი დაიბადება, სანამ სრულიად ამოიწურება ეს უძირო ფონდი კაცობრიობისა. და როდესაც ამოიწურება, როდესაც მთელი კაცობრიობა წარმოადგენს დაახლოვებით განვითარების ერთისა და იმავე ხარისხის სოციალურ ორგანიზმებს, ამ უკანასკნელთა ინდივიდუალობა მაინც არ მოისპობა, არამედ უფრო განმტკიცდება, და მათ შორის კავშირი იქმნება ისევ ინტერნაციონალიზმი, და არა კოსმოპოლიტიზმი განხორციელდება კაცობრიობის ცხოვრებაში.

თანამედროვე ტენდენცია ხალხთა,—ამ სოციალურ ორგანიზმების შემადგენელ მასალისა,—ასეთია, და მიაქციეთ ყურადღება აზიისა და აფრიკის ყველა ერს, თუ თვალ წინ არ გადაგეშალოთ ეს დიდებული სურათი ხალხთა ინდივიდუალობის თან და თან გამორკვევისა, მათ საკუთარ სოციალურ ორგანიზმებში ჩამოსხმისა და კრისტალიზაციისა.

წინააღმდეგი ტენდენცია კი სრულიად არა სჩანს, მას ვერსად ვერ ვამჩნევთ, და არ ვიცი, რაზედ ამყარებენ ხოლმე კოსმოპოლიტები თავიანთ მოსაზრებას. ხშირად მათ საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება ჰგონიათ კოსმოპოლიტიზმის მომასწავებელი, მაგრამ ეს უფრო ინტერნაციონალურ განწყობილებათა განვითარებაა, ვიდრე კოსმოპოლიტიზმი,—როგორც საერთაშორისო უფლების აღმოცენება და განვითარება. აგრეთვე ხშირად მათ რომელიმე საერთო ენის, მაგალითად ესპერანტოს განვითარება ჰგონიათ საკაცობრიო საზოგადოების შექმნის მომასწავებელი, მაგრამ ჯერ ერთი ხელოვნური ენა ვერასოდეს ვერ დაიჭერს საუკუნოებით შემუშავებულ და შესისხლხორცებულ, მილიონობით ხალხის მიერ შექმნილ ენის ადგილს, მეორე, თუ კაცობრიობაში n ენა არის, ესპერანტოს განვითარება იქნება $(n+1)$ ენის შექმნა და სხვა არაფერი. სჯობდა ისევ იტალიური, ან ფრანგული ამოერჩიათ საერთაშორისო ენად, როგორც წინად ფრანგული იყო. ეროვნული თავმოყვარეობა აქ არაფერ შუაშია. ყოველ შემთხვევაში იგი სუსტი არგუმენტია, როგორც თვით ესპერანტოს შექმნა.

მაგრამ ეს რა,—სხვა კავშირიც რომ შექმნან ერთა შორის, მაინც არ შეიქმნება ამით საერთო საკაცობრიო საზოგადოება. კავშირი შეიძლება მჭიდრო იყოს ინდივიდთა შორის, მაგრამ ინდივიდუალობა კიდევ უფრო მაღალია და მკაფიოდ გამოსახული. როგორც განვითარებულ საზოგადოებაში ინდივიდუალობა არა ჰქრება, მომავალ საზოგადოებაში კი ინდივიდის დაცვა უნდა იყოს სწორედ საზოგადოების მიზანი, ისე მომავალ საზოგადოებათა საზოგადოების მიზანი უნდა იყოს დაცვა ყოველ კერძო სოციალურ ორგანიზმისა, დაცვა ერისა. დღეს ერთის მხრით სოციალიზმისა და მეორეს მხრით ინტერნაციონალიზმის ტენდენცია ეს არის: საზოგადოების სფერაში თავისუფალი ინდივიდი, ინტერნაციონალის სფერაში თავისუფალი ერი.

ასეთია კოსმოპოლიტიზმი ტენდენციის მხრით. იდეალის მხრით როგორიღაა იგი? პირდაპირ შეგვიძლიან ვსთქვათ—ყოვლად უმსგავსო და არა სასურველი. რომ მართლაც შესაძლებელი იყოს მისი განხორციელება, უბედურება იქნებოდა მთელ კაცობრიობისათვის. ერთფეროვნება ჰკლავს სიცოცხლეს. როგორც ერთი საზოგადოების სრულიად მსგავსი ადამიანები ვერას შეჰქმნიან ორიგინალურს, რადგანაც ინდივიდუალობა მინიმუმამდის იქნება მიყვანილი, ისე ერთფეროვანი საკაცობრიო საზოგადოება იქნება უსიცოცხლო და ვერას შექმნის ვერაფერს ორიგინალურს. იქ სიცოცხლე მოსაწყენი და უფერული იქნება.

მაგრამ, საბედნიეროდ, კოსმოპოლიტიზმი უტოპიაა, განუხორციელებელი, რადგანაც სიცოცხლე—მრავალფეროვანება, მუდმივი ცვალებადობა, სხვა და სხვა ორგანიულ და სოციალურ ტიპის შექმნა, შემდეგ მათი დიფფერენციაცია, მერე ინტეგრაცია, მაგრამ ინტეგრაციას თავისი საზღვარი აქვს და ვერა სპობს მრავალფეროვანებას. პირიქით—შემდეგ ისევ იწყება პროცესსი დიფფერენციაციისა ახალ მრავალ-ფეროვნებათა წარმოსაშობად, და ასე დაუსრულებლად მიდის ეს პროცესსი.

მაშ რაღად გვეუბნებიან, ერები რომ მოისპონ, კაცობრიობას არა დააკლდება რაო? რად გვეუბნებიან იმასაც კი, რომ პატარა ერებმა თვითონ უნდა შეუწყონ ხელი კაცობრიობის მომავალ ბედნიერებას თავიანთ თავის მოსპობითაო?—უბრალო სოფიზმებია, სწორედ შოვინისტებისა, საერთაშორისო სამართლიანობისა და სოლიდარობის უარმყოფელთა! კაცობრიობა, როგორც სოციალური ორგანიზმი არ არსებობს, და რას შეჰმატებს ამ ფიქციას ერის მოსპობა? თუ იგი ხორცმეტია ამ არ-არსებულ ორგანიზმში? არა, იგი ინდივიდია, სოციალური ინდივიდი, და ვაშა იმ ერს, რომელიც თავს გაიტანს და იცოცხლებს მომავალ ცხოვრებისათვის, მომავალ საერთაშორისო ძმობისათვის. ვინც ვერ იცოცხლებს—იგი წავა, მოკვდება, მისს ადგილს სხვა ერი დაიჭერს, ან მასთან შერევით სრულიად ახალ ერს შეჰქმნის, ხოლო მისი ინდივიდუალობა გაქრება და მისთვის ყოველივე მოისპობა, როგორც ყოველივე ისპობა საიქიოს გამგზავრებულ ადამიანისათვის.

თავის დაცვა ერისა და სხვებთან აწმყო და მომავალი კავშირი, და არა თვით-მკვლელობა აწ არ-არსებულ და მომავალ პრობლემატიურ კაცობრიობისათვის, შეუძლებელ კოსმოპოლიტიზმისათვის,—აი კიდევ და კიდევ ჩვენი მცნება. ამიტომაც ჩვენ გვინდა სოციალიზმი შიგნით, საკუთარ საზოგადოებრივ ორგანიზმის განახლებისათვის, და ინტერნაციონალიზმი გარედ, ერთა ურთიერთ დახმარებისათვის და ძმობისათვის. შოვინიზმი და კოსმოპოლიტიზმი კი ორივე წინააღმდეგი ცნებაა ერთა სიცოცხლისა და უფლებისა და ამიტომაც ჩვენც და ჩვენი სოციალიზმიც მათ გავურბივართ.

**ალაროდიელი.**

(დასასრული იქნება)

გაუწია სპარსეთის კონსტიტუციის აღდგენას, ამიტომ როგორც სპარსეთში, ისე ოსმალეთში დიდ პატივსა სცემენ „საადათს“. მის თავსმჯდომარედაა ცნობილი მოაზი-სალთანე, ბაქოში კონსულად ნამყოფი, რომელმაც თავი ისახელა ამიერ-კავკასიაში თათარ-სომეხთა შეტაკების დროს თავის დამოუკიდებელ მოქმედებით. მაგარ ხასიათით და პატიოსნებით მან ისეთი გავლენა მოიპოვა სტამბოლში, რომ ოსმალეთის უმაღლესი წრეები მის სიტყვასა და მოქმედებას უფრო პატივსა სდებენ და ანგარიშს უწევენ, ვიდრე სპარსეთის ელჩს.

„საადათმა“ დიდის ამბით იდღესასწაულა სპარსეთის კონსტიტუციის აღდგენა, მამედ-ალი-შაჰის ტახტიდან ჩამოგდება და ახალ შაჰის ტახტზე ასვლა. სამ დღეს კომიტეტის სადგომთან, სტამბოლში, ოსმალეთის მთავრობის ბინის ახლო, უკრავდა მუსიკა, წარმოსთქვამდნენ სიტყვებს, და დიდ სიხარულსა და აღტაცებას ეძლეოდნენ. ოსმალეთის დეპუტატთა პალატამ, სენატმა, ადგილობრივმა და უცხო პრესამ და სხვა და სხვა საზოგადოებამ დეპუტაციები გამოუგზავნეს კომიტეტს გამარჯვების მოსალოცად.

„საადათმა“ გულწრფელი მონაწილეობა მიიღო ოსმალეთის ეროვნულ დღესასწაულშიაც, 10 ივლისს, რევოლიუციის წლის თავზე. („კ.“)

## ოსმალეთის ამბები

**ინგლის-რუსეთის შეთანხმება დარდანელის საქმეზე.**

რუსული გაზეთები ირწმუნებიან: რუსეთი და ინგლისი შეთანხმდნენ, რომ რუსეთის შავი ზღვის ფლოტს უფლება ჰქონდეს თავისუფლად გაიაროს ხოლმე დარდანელის სრუტეში.

ამავე ამბავს ატყობინებენ ვენიდან გერმანულ გაზ. „ფოსიშე ცაიტუნგ“-ს. ამას გარდა გაზეთი უმატებს: ვენის დიპლომატთა წრეები დინჯად შეხვდნენ ამ ცნობას. ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ბარონ ერენტალმა გამოაცხადა, რომ ავსტრია თანახმაა რუსეთს ეგ უფლება მიეცესო.

**ურიები ოსმალეთში.**

ოსმალელმა ურიებმაც გულწრფელის სიხარულითა და აღტაცებით იდღესასწაულეს ოსმალეთის ეროვნული უქმე—10 ივლისი—რევოლიუციის წლის თავი. მათმა დეპუტაციამ მშვენიერ გვირგვინით შეამკო თავისუფლებისთვის თავდადებულთა ძეგლი; დეპუტაციის მეთაურმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

„ოსმალეთი ერთად ერთი ქვეყანაა ქვეყნიერობაზე, სადაც ურიები ისე უშიშრად გრძნობენ თავიანთ თავს, როგორც საკუთარ სახლშიო“.

**პრინცი საბახ-ედინი.**

ოსმალელ ახრარების (ლიბერალების) მეთაური პრინცი საბახ-ედინი არ დასწრებია რევოლიუციის წლის თავის დღესასწაულს. იგი წინადღეს ვენას წავიდა, და ოსმალეთის ეროვნული უქმე რკინის გზის ვაგონებში გაატარა. („კ.“)

## მოსკოვის რევიზიიდან

რუსეთის ქრონიკაში უკვე ვწერდით, რომ სენატორ გარინის ბრძანებით, გაჩხრიკეს ის მექარხნეები, რომელნიც მოსკოვის საინტენდანტოს მოიჯარადრეებად ითვლებოდნენ და გაჩხრეკის შემდეგ სავაჭრო დავთრები ჩამოართვესო. ამ დავთრებიდან გამოირკვა, რომ მექარხნენი საინტენდანტოს მოხელეებს დიდ ქრთამებს აძლევდნენ და ხშირად თვითეული მოხელე 20—100,000 მანეთამდე იღებდაო. გაზეთი „რეჩი“ ამის შესახებ სხვა ცნობებსაც გადმოგვცემს. აი რასა სწერს გაზეთი:

საინტენდანტოს მოიჯარადრეთა სავაჭრო დავთრებში რევიზიის წევრებმა ბევრი საინტერესო მასალა ნახეს. კაცი გაოცდება ქრთამების სიდიდით. გასაკვირველი ის არის, რომ მექარხნენი დიდ ქრთამებს ისეთ პატარა მოხელეებს აძლევდნენ, როგორიც, მაგალითად, ეზოს ზედამხედველია. რევიზიის შეკითხვაზე მოიჯარადრეებმა ამაზე განაცხადეს: „ხშირად ხდება რომ მოიჯარადრე ვერ ასწრებს ხოლმე შეკვეთილ საქონლის დროზე დამზადებას და ჩაბარებას. ამ შემთხვევაში ეზოს ზედამხედველი ბევრსა გვშველის. ხშირად საქონელს არ ვაბარებთ, მაგრამ ზედამხედველი კვიტანციას გვაძლევს, საქონელი მივიღეო“.

საინტერესოა მოიჯარადრეთა „გულწრფელი“ აღსარება იმის შესახებ, თუ რა შედეგი მოსდევდა ამას, ე. ი. ყალბ კვიტანციის მიღებას. ვითომ საქონელი უკვე ჩააბარეს. „ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, რომ საქონელი არ ჩაგვიბარებია, მაგრამ ფული-კი მიგვიღიაო“, ამბობენ მოიჯარადრენი.

მოსკოვის საინტენდატოს საწყობში სულ 12 ზედამხედველია. მოიჯარადრენი ყველას აძლევდნენ ქრთამებს, რომ რომელსამე მათგანს არ გაეთქვა მოიჯარადრე ან თავისი ამხანაგი. ზოგიერთი ზედამხედველი მოიჯარადრისაგან თვიურ ჯამაგირს იღებდა—150 ორას მანეთს თვეში, ზოგი კი პროცენტს. საქონლის ჩაბარების შემდეგ მოიჯარადრეებს კიდევ უხდებოდათ ქრთამის მიცემა, რომ ხვედრი ფული ჩქარა მიეღოთ. აქაც ზოგიერთები თვიურად იყვნენ გარიგებულნი, ზოგნი-კი პროცენტებს იღებდნენ. რამდენად დიდი იყო საინტენდანტოს მოხელეთა შემოსავალი, სჩანს იქიდან, რომ მოსკოვის სამხედრო საბჭოს საქმის მწარმოებელი პოლიაკოვი, ჯამაგირსგარდა, მარტო ერთ მოიჯარადრის ტილისაგან წელიწადში იღებდა 10 ათას მანეთს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მოსკოვის საინტენდანტოს მოიჯარადრედ აუარებელი ხალხი იყო, დავინახავთ, რა დიდი „შემოსავალი“ ჰქონია პოლიაკოვს. საზოგადოდ პოლიაკოვის „სამსახურს“ ძალიან აფასებდნენ მოიჯარადრენი და, ღვთის წინაშე, დასაფასებელიც იყო. თვით მოიჯარადრეების სიტყვით, პოლიაკოვი შემდეგ საქმეებს უხერხებდა: ანთავისუფლებინებდა ჯარიმებისაგან, ხშირად 100,000 მანეთისაგან, ჰშველოდა, რომ იჯარა აეღოთ, აგებინებდა სხვა მოიჯარადრეთა ფასებს, თუ საჭირო იყო ზოგიერთ მოიჯარადრის კონვერტს არ აჩენდა და სხვა.

საქონლის ჩასაბარებლად საინტენდანტოში არსებობდა ცალკე კომისია—4 წევრი, თავმჯდომარე და ტეხნიკოსი. თუ როგორ „ადევნებდნენ თვალყურს“ ეს იქიდანაც სჩანს, რომ კომისიის თავმჯდომარეს ქრთამად ეძლეოდა მისაღებ საქონლის ღირებულობის $2^1/_2$%, წევრებს—1%, ხოლო სალდათებს—1 მანეთი დღეში. რადგან ყველა იღებდა ფულს, ამიტომ ყურადღებას აღარავინ აქცევდა. სამკერვალოებში ხაზინის მატერიას იქით სდებდნენ და „საკუთარ“ უვარგის მატერიას ჰკერავდნენ. ხაზინის მატერიას ჰყიდდნენ ვიღაც ბოროვსკიზე, რომელიც ამავე მატერიას საინტენდანტოს უბრუნებდა.

რუსეთ-იაპონიის ომის დროს იმდენი ქრთამი ულიათ საინტენდანტოს მოხელეებს, რომ კაცი არ დაიჯერებს. მოიჯარადრეებს ალაფუზოვებს და ტილს შუამდგომლობა აღუძრავთ, ომში ბევრი სათადარიგო სალდათია გაწვეული, მათ ტანისამოსს ბევრი მატერია უნდება და ამიტომ მატერიას მოუმატეთო. მოხელეებს მოუხერხებიათ და ზემოდ—მოხსენებულ მოიჯარადრეებისთვის მოუმატებიათ 500,000 მანეთის მატერია. რა თქმა უნდა, ეს მატერია ტანისამოს არ მოხმარებია ამისთვის საინტენდანტოს მოხელეებს აუღიათ 60,000 მანეთი.

საინტერესოა აგრეთვე ერთი ფაქტი. ერთ მოიჯარადრის საანგარიშო დავთარში სწერია თურმე: „10,000 მანეთი ქ-ნ ტომაშევას“. ეს ფული ტომაშევას იმიტომ მიუღია, რომ მას მოუხერხებია გადაყენება მოხელე კრიუკოვსკისა, რომელიც ისეთ დიდ ქრთამებს იღებდა თურმე, რომ მოიჯარადრეებმა ძალიან საზარალოდ იცნეს.

## რევოლიუცია ესპანიაში

**ოპოზიციონურ პარტიების კონფერენცია.**

უკვე ვიცით, რომ სერეთს ახლო საფრანგეთის სამფლობელოში ესპანიის ოპოზიციონურ პარტიების წარმომადგენლებმა კონფერენცია გამართეს და დაადგინეს, რევოლიუციონური მოძრაობა ხელახლად დავიწყოთო. კონფერენციამ გადასწყვიტა თურმე: რევოლიუციის ხელმძღვანელი უნდა იყოს საგანგებოდ არჩეული კომიტეტი. საგანგებოდ არჩეული კაცები დაივლიან და აგიტაციას გასწევენ ესპანიის ქალაქებსა და სოფლებში. მთელს ესპანიაში გამოცხადებულ იქნება საყოველთაო გაფიცვა; ხალხს ყველგან უარს ათქმევინებენ ჯარის კაცებისა და გადასახადების მიცემაზე.

ბარცელონის დელეგატებმა გამოუცხადეს კონფერენციას, რომ მუშები ხელახლად აჯანყდებიან, თუ რომ დატყვევებულ მუშებს არ განთავისუფლებს მთავრობაო.

კონფერენციამ დაადგინა აგრეთვე, რომ ახალ რევოლიუციის დროს ხალხმა მეფესა და მის დინასტიის გადაყენებაც მოითხოვოს მოძრაობა დაიწყება მაშინვე, როგორც ესპანიის ჯარის ახალი დამარცხების ამბავი მოვა მელილადან.

**რადიკალებისა და რესპუბლიკელების მუქარა**

ბარცელონიდან ატყობინებენ გერმანულ გაზეთებს: „ესპანიის საბოლოოდ დამშვიდება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოექცევიან ჯარის უფროსები პოლიტიკურ ტუსაღებს. 30 ათასი რადიკალი და რესპუბლიკელი იმუქრება, უარეს ამბებს მოვახდენთ, თუ დატუსაღებულ რევოლიუციონერებს სიკვდილით დასჯიანო. ანარქისტები ყუმბარებით იმუქრებიან“.

**მთავრობის განცხადება.**

ესპანიის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ დატუსაღებულ 700 რევოლიუციონერისგან არც ერთს არ გადუწყვიტეს სიკვდილით დასჯაო.

## ოსმალეთ-საბერძნეთის დავა

**კრიტის საქმე.**

ოსმალეთ საბერძნეთის განწყობილებაზე მეტად არეული, ერთი მეორის წინააღმდეგი ცნობები მოაქვთ გაზეთებსა.

ერთის მხრივ იუწყებიან, რომ ბოლოს დროს კრიტის საქმე იმდენად აღარაა გამწვავებული, საბერძნეთ-ოსმალეთის განწყობილობა, ცუდი არ იყოს, გაუმჯობესდაო.

რუსულ გაზეთებს ატყობინებენ პეტერბურგიდან: საბერძნეთის მთავრობის საპასუხო ნოტამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დიპლომატთა წრეებზე. პეტერბურგელი დიპლომატები დარწმუნებულნი არიან, რომ ამ პასუხის მშვიდობიანი კილო გაუადვილებს მფარველ სახელმწიფოებს ოსმალეთის მთავრობასთან ერთად კრიტის ავტონომიის პროექტის შემუშავებასაო.

მეორეს მხრით იგივე გაზეთები იუწყებიან: ოსმალეთის დიდმა ვეზირმა კორესპონდენტებს უთხრა, რომ ოსმალეთი ვერ დააკმაყოფილა საბერძნეთის ნოტამაო.

ოსმალეთის ჯარი თესალიის ახლო საომრად დაამზადეს. საბერძნეთის საზღვარზე ახალი რაზმები გაგზავნეს.

**საუბარი ხილმი-ფაშასთან.**

გავლენიან ვენურ გაზ. „ნ. ფრ. პრესე“-ს სტამბოლელ კორესპონდენტს კრიტის საქმეზე უსაუბრნია ოსმალეთის დიდ ვეზირთან ხილმი-ფაშასთან. კორესპონდენტს სხვათა შორის უკითხავს ამ საქმეზე სხვა დიდმა სახელმწიფოებმაც გამოსთქვეს აზრი, ესე იგი გერმანიამ და ავსტრიამ?

ხილმი-ფაშას უპასუხნია: გერმანიამ უკვე მოგვცა პასუხი, რომელმაც დააკმაყოფილა კიდეც ოსმალეთის მთავრობა, ვენიდან-კი ჯერ არ მოსულა პასუხი.

— კრიტე რომ ძველ მდგომარეობასა და პირობებში დატოვონ, ეს გადასწყვეტს საქმეს?

— არასოდეს. სწორედ ძველ პირობებს ვსთვლით შეუწყნარებლად და მოვითხოვთ, რომ კრიტის საქმე ეხლავე საბოლოოდ გადასწყდეს. ამაზე მოლაპარაკება გვაქვს გამართული და არ ვიცით, როდის გათავდება იგი.

— ოსმალეთს რომ უარი მიეცეს კრიტეზე ერთი სამხედრო გემის გაგზავნისა,—დასჯერდებით ამას? ან წინააღმდეგი ხომ არა ხართ კუნძულის ავტონომიისა.

— ჩვენ მაინც და მაინც აუცილებელ პირობად როდი ვსთვლით სამხედრო გემის გაგზავნას კრიტეზე. ხოლო ავტონომიას ჩვენ თითონ ვაძლევთ კრიტეს, მაგრამ სახელმწიფოებს უნდათ, რომ ეს საქმე შემდეგში გადასწყვიტონ.

— მაშ საქმე გაჭიანურდება და ოსმალეთი ვეღარ აიღებს გარეშე სესხს—200 მილიონ ფრანკს?

— ჩვენ მეტი ფულის სესხება გვწადიან. ევროპიელი ფინანსისტები გვეხმარებიან ამ საქმეში, რადგან მათ იციან, რომ ადებული ფული მოხმარდება საზოგადო საქმეებს, ესე იგი მშვიდობიან საქმეებს.

— ხოლო რაც შეეხება კრიტეს,—დაასრულა ხილმი ფაშამ,—ჩვენს უფლებას უოგვლნაირის დონისძიებით ავიცავთ. კრიტე იყო და დარჩება ოსმალეთის სამფლობელოდ.

## კორრექტურა

სხვა უბედურებასთან ერთად ჩემს ნაწერებს განსაკუთრებით ლექსებს, სდევს თან ერთი დიდი უბედურება—კორრექტურული შეცდომა კი არა შეცდომები აუარებელი. თუ როცა ჩემი დიდი, ან პატარა ლექსი იბეჭდება და იმ დროს ტფილისში ვარ, შეიძლება დავიხსნა განსაცდელისაგან ჩემი ნაწარმოები, უკეთუ არა, მაშინ უნდა ვიგემო უსიამოვნობის აღმძვრელი სურათი: ვხედავ ლექს, სულ სხვა სიტყვებით დაბეჭდილს, რის გამოც ხშირად აზრი იცვლება, ძალა და მნიშვნელობა ეკარგება. ისეთ შეცდომას კიდევ არაფერი უშავს, თუ მკითხველი მიჰხვდა თავად და შეიგნო კორრექტორის ბრალი, მაგრამ ამისთანა მკითხველი ჩვენს მწერლობას ძალიან ცოტა ჰყავს. უმეტესობა ისე კითხულობს, როგორც დაბეჭდილია და არავითარი წარმოდგენა არა აქვს კორრექტურაზე და კორექტურულ შეცდომაზე. უბედურება კიდევ ის არის, რომ ასე შეცდომებით დაბეჭდილი ჩემი ნაწარმოები მხოლოდ ორი თვის და ხშირად ერთის წლის შემდეგ მივარდება ხელში, რადგან სოფელში არ მოდის წესზე ჟურნალ გაზეთი და ველარაფერი გამიწყვია, რჩება შეცდომა შეცდომად საშვილიშვილოდ, საუკუნოდ და არ ვიცი როდის უნდა ეღირსოს ისე დაბეჭდვა როგორც დაწერილა.

ზედ მეტი უბედურება სხვაა ჟურნალებში თუ გაზეთებში შეცდომებით დაბეჭდილი ლექსები და პოემები იბეჭდება ცალკე წიგნად და იქაც იმავე შეცდომებით, როგორც პირველ დედანში, ასე და ამ რიგად, დაკანონებული ხდება პირველი შეცდომა შემდეგ ყველა გამომცემლის ხელში, კოლლექტიურია იგი თუ ცალკე ადამიანი...

ნიმუშად თუ რა სახითა ვგზავნი რედაქციაში ლექსებს და რა სახით იბეჭდება, მოვიყვან ლექსს, რომელიც „დროება“-ში დაიბეჭდა (იხ. „დროება“, № 153. ლექსი „კაი ყმა“).

დაბეჭდილია:

ფარების დაადგეს ჯღრდევნი
ხულეთს შავიდე'ს ხმლიანი
თავისად სცოცხლობთ მცონარედ
ლეში ალალით კვეღით
გწყინთ და შურითა ხდებითა

უნდა იყოს:

ფარების **დადგეს** ჯღრდეები.
**ხულეთს***) შავიდეს...
თავისად სცოცხლობთ, **მცონართა**
ლეში **ბლალით კვებითა**
გწყინთ და შურითა **ჰსქდებითა**.

ამიტომ ვფიქრობ, როცა ცალკე წიგნებად იბეჭდება ნაწერები კორრექტურა ავტორს მიენდოს, რომ ერთხელ მომხდარი შეცდომა აღარ განმეორდეს. **ვაჟა-ფშაველა.**

**რედაქციისაგან.** თქმა არ უნდა, ძალიან და ძალიან სამწუხაროა ასეთი შეცდომები, მაგრამ სავსებით არც კორექტორს დაედება ბრალი. ხშირად თითონ ავტორები ისე სწერენ, რომ ყოვლად შეუძლებელია გარჩევა. ამას გარდა, ძნელია ჩვენებურ ღარიბ რედაქციებისთვის კორექტურულ შეცდომების თავიდან აცილება. სხვაგან, სადაც შეძლება ხელს უწყობთ, ერთის ნაცვლად, ორი და სამი კორექტორი ჰყავთ. ქართულ გაზეთებს კი, ხელმოკლეობისა გამო, რომ ნომერი არ დაგვიანდეს, ერთხელ წაკითხვასაც ძლივს ახერხებს. ყველა ამით, რასაკვირველია, ჩვენ თავის გამართლება არ გვინდა, მაგრამ ურიგო არ იქნება, მკითხველმაც იცოდეს ჩვენი მდგომარეობა.

*) ხულეთი და არა ხულეთი, ე. ი. ხულების ქვეყანა, სადილ.

## რუსეთი

✦ **დაქირავებული შეურაცხმყოფელი.** „გოლ. მოსკ.“-ის კიევიდან დეპეშით ატყობინებენ: „საინტენდანტოს რევიზია გრძელდება. სხვათა შორის რევიზიამ შემდეგი გამოარკვია: რუსეთ-იაპონიის ომის დროს კაპიტანი ს. ომში უნდა წასულიყო, ს—ს კი ომში წასვლა არ უნდოდა. ამიტომ მან დაიქირავა ერთი კაცი, რომელმაც მან საჯაროდ სილა გაარტყა. ამავე კაცმა კაპიტანი ს. დუელში გამოიწვია, მაგრამ ს—მ უარი სთქვა დუელზე, რასაც ის მოჰყვა, რომ ეს უკანასკნელი ოფიცრებმა ჯარიდან გამორიცხეს. ამრიგად კაპიტანმა ს—მ თავიდან აიცილა ომში წასვლა. ამ ჟამად ეს ვაჟბატონი კიევის საინტენდატსტვოში მსახურებს და კარგი შემოსავლიანი ადგილიც უჭირავს.“

✦ **ინგლისის პარლამენტის დეპუტაცია.** როგორც მკითხველს მოეხსენება ამ რამდენიმე ხნის წინად სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს დეპუტატები ინგლისში იყვნენ და ინგლისის სხვა-და-სხვა დაწესებულებები დაათვალიერეს. „რეჩის“ სიტყვით ამ წლის დეკემბერში ინგლისიდან რუსეთში ჩამოვა ინგლისის ქვედა და ზედა პალატების 50 დეპუტატი და დაათვალიერებენ რუსეთის სხვა-და-სხვა დაწესებულებებს.

✦ **საინტერესო ბრძანება.** დონის ოლქის უფროსის თანაშემწეს შემდეგი ბრძანება გაუცია: ამ უკანასკნელ დროს ახალგაზრდა ყაზახები შუამდგომლობენ და ცხოვრების გაუიჯობესებას თხოულობენ. აღსანიშნავია, რომ ასეთი თხოვნებით მარტო ახალგაზრდები გვმართავენ და მოხუცებულები კი გაჩუმებულები არიან. ახალგაზრდებს ურჩევთ მოხუცებულებს მიჰბაძონ და დაკმაყოფილდნენ იმათ, რითაც ჰპაპით შემოსილები და ცხოვრებაში გამოცდილები კმაყოფილდებიან. ახალგაზრდების თხოვნებს არავითარ შემთხვევაში არ განვიხილავთ და ტყუილად ნუ მოსცდებიან“.

✦ **პუშკინის თხზულება.** ამ დღეებში მოსკოვში დაიბეჭდა და ცალკე წიგნად გამოვიდა პუშკინის ის ნაწერები, რომლებიც თავის დროზე რუსეთში ცენზურამ აკრძალა და საზღვარ-გარედ დაიბეჭდნენ. წიგნი 3,600 ცალი დაიბეჭდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით ამ წიგნისთვის კონფისკაცია უნდა ექმნათ. „რეჩი“-ს სიტყვით ადმინისტრაციას სტამბაშივე ნაკუწ-ნაკუწ დაუქრია ეს წიგნი.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: იჟიმში 1, ვლადიმერში (საგუბერნიო) 5, კურსკში 3, ოდესაში 2, ხარკოვში 1, ვარშავაში 1 კაცს. სიკვდილით დასაჯეს: რეველში 1, ხარკოვში 2, რიგაში 2, ოდესაში 1, მოგილევში 4, პეტერბურგში 1 კაცი.

## წერილი რედ. მიმართ

რადგან ყოფილ „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში დაიკარგა ვასო თაქთაქიშვილის კარგა მოზდილი ორი რვეული (პირველი შეიცავდა 157 გვერდს, მეორე 116 გვერდს) რომელშიაც იყო მოქცეული რამდენიმე დიდი პოემა და მრავალი წვრილი ლექსი, ამიტომ მივმართავ იმის ნაცნობ-მეგობრებს და ამხანაგებს, რომელთაც იციან ვასოს თაქთაქიშვილის ნაწერები ან სათაურები ან შინაარსი, ნუ დაიზარებენ და ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ ან წერილობით ან სიტყვიერად, რითაც ძლიერ დაგვავალებენ. ჩვენ გვჭირდება ეს იმიტომ, იმ რვეულების ისე უბრალოდ დაკარგვა გვეეჭვება. ვეეჭვება მით უმეტეს, რომ რედაქციაში წიგნის ულოდინარნი არ დაიარებიან. ადვილი შესაძლებელია ვინმე ხელ-ბედნიერმა აიღო და შეინახა იმ ფიქრით, რომ შემდეგში თავის სახელით მონათლოს და ასე გაავრცელოს საზოგადოებაში. ჩვენ ამას უფრო ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ვასო თაქთაქიშვილი არ იყო საკმაოდ ცნობილი, მისი მხოლოდ რამდენიმე ლექსი დაისტამბა გაზეთ „ივერიაში“ შემდეგის ინიციალით: ვ. თ—შვილი.

ყველა ამის მიხედვით და უფრო იმით, რომ საბრალო ვასო უდროოდ და უსამართლოდ იქმნა მოკლული ნაძალადევში ჩვენ განვიზრახეთ შევაგროვოთ, რაც კი შესაძლებელია, მისი დარჩენილი დაბეჭდილი თუ დაუბეჭდავი ნაწერები და ცალკე წიგნად გამოვცეთ ან რომელსამე გაზეთში დავსტამბოთ და გავაცნოთ მკითხველ საზოგადოებას, ვინ იყო მუშა ვასო თაქთაქიშვილი და რა ღირსება—მნიშვნელობისა იყო მისი ნაწერები.

ადრესი: ნაძალადევი, სუნჯინის ქუჩა, № 10. **ნიკო თაქთაქიშვილი.**

ვთხოვ ადგილობრივ გაზეთებს გადაბეჭდონ, **ნ. თ.**


## განცხადებანი

**ექიმი** [illegible] იღებს მინავან ხნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აკჰალის ქუჩა, N 41, სახულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**სად. ტყიბულაში** დამზადებული მაქვს ორას საჟენამდე რცხილის და წიფლის

**შეშა**

შემიძლია ჩავაბარო სხვა და სხვა დაწესებულებას და აგრეთვე გავყიდო წვრილათაც.

ტყიბული მიხაილ ყუფარაძე. (4—კვ.—1)

**დავკარგე** ტფილის. ტრამვაის წლიური **ბილეთი** (რატიანის სახელზე.

მპოვნელს უმორჩილესად ვთხოვ დამიბრუნოს, რადგან [illegible] ერთია მას არ გამოადგება. ვთხოვ, ბილეთი ტრამვაის კანტორას წარუდგინოს. (2—1)


## მატარებლების მიმოსვლა
(18 აპრილიდან)

ფრჩხილებს გარედ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში ტფილისისა.

**ტფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) ჩქარი N 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო N 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო N 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო N 9/10. ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო N 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.),

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. N 78/79, ნაშუადღევ. 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში—1) საგარაკო N 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საგარაკო N 77 a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**ტფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) ჩქარი N 2, დილის 8 ს. 38 წ. (9 ს. 36 წ.),
2) საფოსტო N 4, საღამ. 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).

**ბაქოდან:** 1) სამგზავრო N 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 7 ს. 8 წ (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

**ჯულფიდან:** საფოსტო N 72/73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

**ერევნიდან:** სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

**მცხეთიდან:** მხოლოდ კვირა უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის—საგარაკო N 76 a, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.). საგარაკო N 76, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.).


## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მცხიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.
**რიდელი**—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.
**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე $1^1/_2$—3 ს.
**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5
**ისხელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.
**ბოგოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
**გორალევიჩი**—შინაგან, ყოველ დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.
**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.
**ასპისოვი** — ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.
**ცნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.
**ხუდაბაშევი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.
**ახვლედიანი**—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით.

(100—ნ.—70)